



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი ტიელიძე

მსოფლიო ფინანსური კრიზისები და კრიპტოვალუტა, პირველი
დეცენტრალიზებული ელექტრონული ფული

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი
2019

**მსოფლიო ფინანსური კრიზისები და კრიპტოვალუტა, პირველი
დეცენტრალიზებული ელექტრონული ფული**

ჩვენს მიერ საკვლევი საბაკალავრო ნაშრომი „**მსოფლიო ფინანსური კრიზისები და კრიპტოვალუტა, პირველი დეცენტრალიზებული ელექტრონული ფული**“ შეეხება ციკლურ კრიზისებს, დარგობრივ დისბალანსს, ინფლაციის მომატებას და ა.შ. **ჩვენი მიზანი** გახლდათ შეგვესწავლა ფინანსური კრიზისის არსი, მისი მრავალფეროვნება, ფინანსური კრიზისების კლასიკური მაგალითები. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია**. ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** ჩვენება იმისა, რომ რეცესია და საბიუჯეტო პრობლემების ზრდა იწვევს მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების დარეგულირების შენელებას, ჩატარებული **კვლევის საგნია** საერთაშორისო და ეროვნული ფინანსური ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები. **კვლევის ობიექტია** სტატისტიკის დეპარტამენტის, საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების და საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებ მას, რომ პრობლემათა მთელ კასკადს ერთი ძლიერი და ზომაზე მეტად დამანგრეველი წყარო ასაზრდოებს, რომელიც ცნობილია ეკონომიკური კრიზისების კატეგორიით. ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომ ფინანსური კრიზისის შედეგების შემცირება და რეცესიიდან გამოსვლის გზების ძიება, ქვეყნების ძირითადი ჯგუფებისთვის დიდი დანაკარგების გარეშე-სტაბილურობის შენარჩუნებისა და კრიზისის შემცირების პრინციპული გზაა.

A n n o t a t i o n

G.Tielidze

World financial crises and cryptobalt, the first decentralized digital currency

The undergraduate program “The World Financial Crisis and Cryptovalues, the First Decentralized Digital Currency” examines cyclical crises, industry imbalances, inflation, etc. Our goal was to explore the essence of the financial crisis, its diversity and classic examples of financial crises. Therefore, I think that the topic that we are studying is relevant. The objective of the survey is to demonstrate that recession and budgetary problems lead to a slowdown in the regulation of a number of economic, social and other problems, research conducted by international and national financial institutions and non-governmental organizations. The object of the research is information about the Department of Statistics, international financial and credit organizations and the official website of the Government of Georgia. As a result of our research, we proved that the whole cascade of problems is one of the most destructive sources known as the category of economic crisis. The study of our study is to show that reducing the financial crisis and getting out of the recession is the main way to maintain stability and reduce the crisis without significant losses for major groups of countries.

შინაარსი

შესავალი

თავი I

ფინანსური კრიზისების კლასიკური მაგალითები მსოფლიოში

- 1.1. ფინანსური კრიზისის არსი და მისი მრავალსახეობა
- 1.2. დიდი ეკონომიკური კრიზისი ამერიკაში, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი „დიდი დეპრესიის“ ფონზე

თავი II

ფინანსური კრიზისები გეოგრაფიული საზღვრების გარეშე

- 2.1. საბერძნეთი ევროზონის ფინანსური პრობლემების ფონზე
- 2.2. კრიზისის გლობალური ხასიათი და ფინანსური კრიზისები დედამიწის აზიურ ნაწილში
- 3.3. კრიპტოვალუტა, როგორც მსოფლიო ფინანსური კრიზისის პროგნოზირების კიდევ ერთი მიზეზი

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი საბაკალავრო ნაშრომი „**მსოფლიო ფინანსური კრიზისები და კრიპტოვალუტა, პირველი დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტა**“ შეეხება ციკლურ კრიზისებს, დარგობრივ დისბალანსს, ინფლაციის მომატებას და ა.შ. მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა 2008 წლის შედეგს ფინანსური კრიზისისა და მზარდი უმუშევრობის პირობებში შეხვდა. აშშ-ის იპოთეკური კრიზისი (2007 წ. აგვისტოდა 2008 წ.) გარდაიქმნდა ღრმა ფინანსურ კრიზისად და 2008 წლის III კვარტლიდან შევიდა რეცესიაში. ეხლანდელი კრიზისი ისე როგორც უმეტესობა კრიზისებისა, აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი, რასაც მოწმობს ამერიკის ხელისუფლების მიერ გარკვეული ზომების დაგვიანებით მიღება. ჩვენი მიზანი გახლდათ შეგვესწავლა ფინანსური კრიზისის არსი, მისი მრავალფეროვნება, ფინანსური კრიზისების კლასიკური მაგალითები. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა აქტუალურად მიმაჩნია. ჩატარებული კვლევის ამოცანაა ჩვენება იმისა, რომ რეცესია და საბიუჯეტო პრობლემების ზრდა იწვევს მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების დარეგულირების შენელებას. მიმდინარე რეცესიას წინ უსწრებდა 2003-2008 წწ. მსოფლიო ერთობლივი ეროვნული პროდუქციის სამჯერ ზრდა. მსოფლიო გადაეჩვია ღრმა ციკლურ რყევებს, წამყვანი ქვეყნების მოსახლეობა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში (გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გარდა) არ განიცდიდა მნიშვნელოვან უმუშევრობას. 1990-იანი წლებიდან კაცობრიობა დადგა მრავალი გლობალური ამოცანის წინაშე: გარემო პირობებისა და კლიმატის დაცვა; ბრძოლა სიღარიბესთან - ათწლეულის ამოცანა (Millenium Development Coals); საინფორმაციო რევოლუცია; მასობრივი საშუალო კლასის ჩმოყალიბება განვითარებად ქვეყნებში და სხვა. ჩატარებული კვლევის საგნია საერთაშორისო და ეროვნული ფინანსური ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები. კვლევის ობიექტია სტატისტიკის დეპარტამენტის, საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების და საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ძირითად შედეგად

ვამტკიცებ მას, რომ პრობლემათა მთელ კასკადს ერთი ძლიერი და ზომაზე მეტად დამანგრეველი წყარო ასაზრდოებს, რომელიც ცნობილია ეკონომიკური კრიზისების კატეგორიით. ბოლო ეტაპამდე ეკონომიკური აღმავლობა გრძელდებოდა კლასიკური ვარიანტით, ფასების მკვეთრი ზრდით ნედლეულსა და ენერგომატარებლებზე. სუსტი რგოლი ამ ჯაჭვში აღმოჩნდა არა ენერგეტიკული დარგი და სახელმწიფო ბიუჯეტი, არამედ განვითარებული ქვეყნების კერძო საფინანსო სექტორი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის სიახლე გახლავთ ჩვენება იმისა, რომ ფინანსური კრიზისის შედეგების შემცირება და რეცესიიდან გამოსვლის გზების ძიება, ქვეყნების ძირითადი ჯგუფებისთვის დიდი დანაკარგების გარეშე-სტაბილურობის შენარჩუნებისა და კრიზისის შემცირების პრინციპული გზაა. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ დედამიწაზე მოსახლეობის რიცხოვნების საკმაოდ მაღალი ტემპით ზრდასთან ერთად გრძელდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, რაც კიდევ უფრო მეტად აფერხებს სოციალური საკითხების ზოგადი პრობლემების მოგვარებას. ყოველივე ეს უფრო შესამჩნევი და მტკივნეული გახდა გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე.

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდი, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტგვერდზე და საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია.

თავი I

ფინანსური კრიზისების კლასიკური მაგალითები მსოფლიოში

1.1. ფინანსური კრიზისის არსი და მისი მრავალსახეობა

„მსოფლიო ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების პროცესში მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში ჰქონდა ადგილი კრიზისებს, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა წარმოების ტემპების დაცემას, წარმოებული არარეალიზებული პროდუქციის თავმოყრას ბაზარზე, ფასების დაცემას, საბანკო სისტემის მოშლას, სამრეწველო და სავაჭრო ფირმების გაკოტრებას, უმუშევრობის ზრდას და ა.შ. ეკონომიკურ სახელმძღვანელოთა უმეტეს ნაწილში ნახავთ კრიზისის განმარტებას, სადაც საუბარია სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის დარღვევის შესახებ. მსოფლიო ფინანსური კრიზისები თან სდევს საზოგადოების განვითარების ისტორიას. თავდაპირველად მათ იწვევდა ფინანსური წონასწორობის დარღვევა სამრეწველო წარმოებასა და გადახდისუნარიანობის მოთხოვნას შორის. ცნობილია, რომ ეკონომიკის განვითარებას ციკლური ხასიათი აქვს, განვითარების პროცესს ცვლის დაცემა ან რეცესია. რეცესიას ეკონომიკაში, თავისთავად აბსოლუტურად ნორმალურ და კანონზომიერ მოვლენად თვლიან, მაგრამ ხანდახან იგი აღარ ექვემდებარება კონტროლს და შეუმჩნევლად გადადის კრიზისში.“¹

რა არის ფინანსური კრიზისი? ფინანსური კრიზისი ნიშნავს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მკვეთრ ვარდნას, ასევე შემოსავლის, ან ნაღდი ფულის სიმცირეს. ისტორიას ბევრი ფინანსური კრიზისი ახსოვს, აშშ-ში მომხდარი კრიზისი 1929-1932 წლებში, რომელმაც დიდი დეპრესიის სახელწოდება მიიღო, ხოლო ბოლო ფინანსური კრიზისი, რომელმაც სერიოზული პრობლემები გამოიწვია, 2008 წელს მოხდა.

„პირველი ფინანსური კრიზისი 1857 წელს მოხდა, რადგან ამერიკიდან ესქპორტი შემცირდა ევროპაში, სადაც რუსულმა საქონელმა დაიწყო შესვლა ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ. ეს კრიზისი ორი წელი გრძელდებოდა და 1400

¹ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

ბანკის გაკოტრება გამოიწვია. 1873 წელს პირველად წარმოიშვა ჭარბწარმოების პრობლემა ამერიკასა და ევროპაში, რაც ტექნოლოგიურ პროგრესთან და სპეკულაციურ ოპერაციებთან იყო დაკავშირებული. ამის შემდეგაც მოხდა სერიოზული ფინანსური კრიზისი რამდენჯერმე, თუმცა ჯობია ისევ 1929 წელს მივუბრუნდეთ. 1929 წლის 22 ოქტომბერს გამოვიდა ირვინგ ფიშერის სტატია, სადაც ის წერდა რომ აქციების ფასი დაეცემოდა და 2 დღის შემდეგ, 24 ოქტომბერს ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. იმ დროისთვის მისი შეხედულებები არასწორად ჩათვალეს და დიდი ავტორიტეტი დაკარგა ეკონომისტმა, თუმცა თუ დღეს გადავავლებთ მის ნაშრომს თვალს, მივხვდებით რომ ის სწორი იყო. ფინანსური კრიზისის ანალიზი მან 1933 წელს მოახდინა. მისი თეზისის მიხედვით მოსახლეობას საკმარისზე ბევრი ვალები ჰქონდა, რამაც გამოიწვია კრიზისი. აქციათა უმეტესი ნაწილი ნასესხები ფულით იყო შექმნილი.²

შემდეგი სერიოზული კრიზისი მოხდა 1987 წლის 19 ოქტომბერს და ამ დღეს „შავი სამშაბათი“ უწოდეს. „ამ დროს ჯოუ-დონსის ინდექსი (გვიჩვენებს აქციათა საშუალო ფასს მსხვილი 30 კომპანიისთვის საფონდო ბაზარზე) კატასტროფულად დაეცა. კრიზისის მიზეზი ის იყო, რომ კომპიუტერულმა პროგრამამ ფასების შემცირების საპასუხოდ ავტომატურად დაიწყო აქციათა პაკეტების გაყიდვა ინვესტორებზე. ამის მიუხედავად ბაზარი რამდენიმე კვირაში დარეგულირდა. შედარებით ხანგრძლივი გამოდგა ე.წ. „ბუშტი“, რომელიც წარმოიშვა მაღალტექნოლოგიური კომპანიების ბაზარზე 1995-2001 წლებში. ახლადშექმნილი კომპანიების ქციათა ფასი სწრაფად იზრდებოდა სპეკულაციური ოპერაციების გამო. ეს ყველაფერი კი, ირვინგ ფიშერის თქმით, სერიოზულ კრახს

² ლ. არევამე, თ. წიკლაური „მსოფლიო ფინანსური კრიზისი, მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და კრიზისის დამლევს პერსპექტივები“ ჟურნალი- ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ, 2010. ტ I. გვ.7-11.

გამოიწვევდა.მართლაც, მალე აქციათა ფასი ატასტროფულად დაეცა, თუმცა სიტუაცია მალევე დასტაბილურდა.“³

2005 წელს რობერტ შილერი ამბობდა, რომ შემდეგი „ბუმი“ წარმოიქმნება უძრავი ქონების ბაზარზე და აშშ-ში ფასები 40%-ით დაეცემა ამ ბაზარზე. „მისი პორგნოზი გამართლდა და მართლაც მალევე ყველაზე დიდი ფინანსური კრიზისი მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ზოგადად ეს მოვლენა შეიძლება შემდეგმა ფაქტორებმა გამოიწვიოს:

- ❖ არასტანდარტული იპოთეკური ვალდებულებების ზრდა. ის ადამიანები, რომელთაც შემოსავალი, ან სხვა აქტივი არ გააჩნიათ, იღებენ სესხებს და შემდეგ ვერ ახერხებენ გადახდას.
- ❖ საპროცენტო განაკვეთის შემცირება. 1981 წლიდან 2005 წლამდე საპროცენტო განაკვეთი 5%-ით შემცირდა.
- ❖ საბანკო და ფინანსური სექტორის არაადეკვატური რეგულირება. ობლიგაციების და აქციების ყიდვა დაიწყეს შვილობილმა კომპანიებმა, რომელთაც საკუთარი კაპიტალი არ გააჩნდათ. ისინი სწრაფად იღებდნენ სესხებს ბანკებისგან და მათ ფუნქცია დაუკარგა. დეპოზიტების დიდ ნაწილს ბანკები სესხად გასცემდნენ და ამან პრობლემები წარმოშვა.
- ❖ მენეჯერების დაწინაურების არასწორი სისტემა. მენეჯერებს ჰპირდებოდნენ პრემიებს იმ შემთხვევაში, თუკი კომპანიის ღირებულებას გაზრდიდნენ, თუმცა მენეჯერები ამ დროს აქცენტს მოკლევადიან პერიოდზე აკეთებდნენ.
- ❖ არასაკმარისი კონტროლი ფინანსურ ბაზარზე. რამდენიმე წლის წინ მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი ბერნარდ მედოფის სახელი, რომელმაც სწორედ კონტროლის არ არსებობის გამო 170 მილიარდი დოლარის

³ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

მითვისება მოახერხა. მისი საქმე შემთხვევით გამოძღვანდა და 150 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.⁴

მსოფლიო ფინანსური ექსპერტების შეფასებებით ფინანსური ბაზრების კონიუნქტურა უაღრესად რთული რჩება იმაზე გაცილებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. „მომავალში მოელიან, რომ ფინანსურ ბაზრებზე კვლავ დაძაბულობა იქნება შენარჩუნებელი. წარმოების მოცულობა 2%-ით შეიკვეცება. დღეს მთავარი რისკი ისაა, რომ შესაძლებელია გაძლიერდეს რეალურ ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორს შორის არსებული ნეგარტიული უკუკავსირი, რაც კიდევ უფრო დაამუხრუჭებს გლობალურ ზრდას. გარდა ამისა, მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში მატულობს დეფლაციის რისკი, ფორმირებადი ბაზრის ქვეყნების კორპორატიულმა სექტორმა კი სერიოზული დანაკარგი შეიძლება განიცადოს გარედან დაფინანსების შეზღუდული შესაძლებლობების შენარჩუნების გამო. გაღრმავებული ფინანსური კრიზისის ძირეულ მიზეზად სამართლიანად შეგვიძია დავასახელოთ უზომოდ დიდ მოგებას გამოდევნება სათანადო წინასწარი ანალიზის ჩტარების და მოსალოდნელი რისკების შეფასების გარეშე. არადა, აშკარად ეტყობოდა, რომ გაუმართლებლად დაბალი იყო გარანტიების ნორმები, ერთმანეთის მიყოლებით რთულდებოდა ფინანსური პროდუქტები და მატულობდა მათი გაუმჭვირვალობა. ამის პარალელურად, შეუჩერებლად ფართოვდებოდა კრედიტების გამოყენების მასშტაბები, რაც ნამდვილად ძნელი ასახსნელია.“⁵

მას შემდეგ რაც ფინანსურმა კრიზისმა მსოფლიო კრიზისის ხასიათი შეიძინა, წამყვანი ქვეყნების მესვეურები სერიოზულად დაფიქრდნენ მსოფლიო ფინანსური სისტემის რეფორმების აუცილებლობაზე, ეკონომიკის სტიმულირების, დანაზოგებისა და ანაზრების დაცვის, გლობალური ეკონომიკის მხარდაჭერის

⁴ ნ.თაგოშვილი. „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო.“ ჟურნალი-ეკონომისტი. თბ. 2011. #4. გვ. 71-75.

⁵ ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.

ლონისძიებებზე. ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ ამ ყველაფერზე დაფიქრება გაცილებით ადრე იყო ასჭირო.

„ეკონომიკური პოლიტიკის იმ მასშტაბური ზომების მიუხედავად, რომლებსაც დღეს თითქმის მთელ მსოფლიოში მიმართავენ, ფინანსური დამაბულობა კვლავაც მწვავედება და დღითიდღე ასუსტებს რეალურ ეკონომიკას. ანალიტიკოსები მოელიან, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდა წელს 0,5%-მდე დაიწევს და განახლება მხოლოდ 2010 წლიდან დაიწყება, რმილად რომ ვთქვათ, ეს ნამდვილად არასახარბიელო პროგნოზია. თუმცა, პროგნოზები, საზოგადოდ, მკვეთრად განსხვავდება ხოლმე ერთმანეთისგან და არცთუ მთლად საიმედოა. მაგალითად, არაერთი კვლევითი ცენტრის გაანგარიშებით, წელს მსოფლიო ეკონომიკური ზრდის დონე 1,3% იქნება და სამუშაო ადგილების რაოდენობა და ხელფასები 1%-ით შეიძლება გაიზარდოს კიდევ. ამის საპირისპიროდ, პესიმისტურია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროგნოზები, რომ გარდაუვალია მსოფლიო რეცესია და იგი საკმაოდ მძიმე იქნება. ნობელის პრემიის ლაურეატი პ.კრუგმანი ვარაუდობს, რომ ა.აკაევის აზრით, კარს მომდგარმა დეპრესიის ფაზამ 2010 წლამდე შეიძლება გასტანოს. არც იმას გამორიცხავენ, რომ მწვავე ეკონომიკური პრობლემები მსოფლიო პოლიტიკურ კრიზისში შეიძლება გადაიზარდოს.“⁶

კრიზისი გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ შევეხოთ ერთ ფაქტს. ეკონომიკის გამაღებელი, ბოზოქარი ზრდა გადამეტებულად ააქტიურებს საბირჟო სპეკულაციებს, რაც ფინანსურ „საპნის ბუმტებს“ აჩენს. აშშ-ისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების ფინანსური მესვეურები ბოლო დრომდე მოთმინებით შესცქეროდნენ და ხელსაც უწყობდნენ ამას. იქ დიდ სიკეთედ მიიჩნიეს, რომ აქტივების ფასები კარგა ხანს სწრაფად და უსაზღვროდ მატულობდა. მაგრამ აშშ-ის საფონდო ბაზარზე შრშან მომხდარმა კატასტროფამ ადამიანებს რადიკალურად

⁶ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

გადააფასებინა წინანდელი შხედულებები. მან გამოავლინა, თუ ამით რა გრანდიოზული საფრთხე ემუქრება ფინანსურ სტაბილურობასა და მთელ ეკონომიკურ განვითარებას. მართაც, საბოლოოდ ინვესტიციები შეიკვეცა, სამეწარმეო საქმიანობა დაქვეითდა და დაიწყო საკრედიტო ინფლაცია.

1.2. დიდი ეკონომიკური კრიზისი ამერიკაში, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი „დიდი დეპრესიის“ ფონზე

1929 წლის 22 ოქტომბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში გრანდიოზული ფინანსური კრიზისი დაიწყო, ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ფასები 26 მილიარდი დოლარით დაეცა, შემდგომი ორნახევარი წლის განმავლობაში ეს პროცესი კიდევ უფრო დაბლა დაეშვა. “კერძო პირების, ბანკების, სამრეწველო კორპორაციების, საპენსიო ფონდების, სხვა ფინანსური ინსტიტუტების აქტივების საოცარმა გაუფასურებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ეროვნული ეკონომიკის კრახში. კრიზისმა ყველაზე საგრძნობლად კერძო მეწარმეობაზე და მთავრობაზე იმოქმედა. იმ პირობებში, როცა ბაზარს ციებ-ცხელება დაემართა, ბანკები კრახს განიცდიდნენ, ხელფასები შემცირდა, სიტყვა "კაპიტალისტი" საღანძღავ სიტყვად გადაიქცა. ბიზნესის ყოფილი გმირებისადმი ნდობა ძლიერ შეირყა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კონგრესის გამოძიების პერიოდში, სასამართლო პროცესების დროს გამოვლინდა ბანკების მიერ კლიენტების შენახული თანხების ბოროტად გამოყენება. ისინი შეთანხმებით მოქმედებდნენ საბროკერო ფირმებთან და საფონდო ბაზრით მანიპულირებას 1920-იანი წლების განმავლობაში ახდენდნენ. პრეზიდენტ ჰერბერტ ჰუვერის დროს გაიზარდა ასიგნებანი საზოგადოებრივ სამუშაოებზე, ბიზნესმენებს მოუწოდეს არ შეემცირებინათ ხელფასის დონე დასაქმებასთან ერთად.”⁷ დაფუძნდა

⁷ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

რეკონსტრუქციის ფინანსირების კოორპორაცია საწარმოთა მხარდაჭერისათვის სუბსიდიებისა და სესხების მეშვეობით. სახელმწიფომ დაიწყო სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქტების შესყიდვა, რითაც ფასების დაცემის შეჩერებას შეეცადა. 1930 წელს მიღებული იქნა სმუტ-ჰოლის ტარფი, რომელიც ამერიკელ მეწარმეებსა და მუშებს უცხოელი კონკურენტებისაგან იცავდა. ამ ზომებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგანაც ცუდად იქნა შემუშავებული.

„1931 წელს მეანაბრებმა ნაღდი ფული მოითხოვეს. ვინაიდან კრედიტების დაბრუნება ვერ შეძლეს და საკუთარი აქტივები ვერ გაყიდეს, ამიტომაც გაკოტრდა 2300 ბანკი, რომლებსაც საცავებში თითქმის 1.7 მილიარდი დოლარი ჰქონდათ. 1932-33 წლებში მკაცრი ზამთარი იდგა. ქვეყანაში 14-16 მილიონი უმუშევარი იყო. სოფლის მეურნეობაში საერთო შემოსავალი 12 მილიარდი დოლარიდან 1929 წელს დაეცა 5.3 მილიარდ დოლარამდე 1932 წელს, მაშინ, როცა ვალეები მიწისათვის, კრედიტები და მოწყობილობები, რომლებიც საუკეთესო დღეებში გაკეთდა, პრაქტიკულად ძველ დონემდე დარჩა. 1929-1933 წლების პერიოდში გაკოტრდა:

- 125 ათასზე მეტი ფირმა;
- საერთო ეროვნული შემოსავალი დაეცა 50%-ზე მეტად;
- მოსამსახურეთა ხელფასები დაეცა 40%-ით;
- დივიდენდები თითქმის 57%-ით;
- მუშების ხელფასები მრეწველობაში _ 60%-ით.“⁸

ბანკებთან იმედგაცრუებული ადამიანების გრძელი რიგები იდგა. კრიზისი ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობას, საწარმოებს და მძიმე მრეწველობას შეეხო. ნიუ-იორკის ბირჟის გაკოტრებამ არც საქმიან ადამიანებს აუარა გვერდი, ბოლო მოუღო მათ დანაზოგებს, კაპიტალდაბანდებებსა და გასაღების ბაზარს. „სწრაფად განვითარებული საავტომობილო ინდუსტრიაც შესაბამის შედეგამდე მივიდა და ავტომობილების გაყიდვა 65%-ით დაეცა. 1929 წლიდან 1932 წლამდე სოფლის

⁸ მთავარი საფრთხე: უმუშევრობა, ინფლაცია და ფინანსური კრიზისი: ეს უკვე რისკი კი არა, სამწუხარო რეალობაა. ნათია ლომიძე. რეზონანსი. თბილისი, 2018. 22 თებერვალი. N 38. გვ. 8.

მეურნეობის შემოსავლები 70%-ით შემცირდა. ყველაზე დიდი ზარალი კი ზამბის, თამბაქოს და მარცვლეული კულტურების მწარმოებლებმა განიცადეს. საბანკო სექტორმა სრული კატასტროფა განიცადა 1930 წელს 1352 ბანკი დაიხურა, ხოლო სამი წლის შემდეგ ეს ციფრი 4004-მდე გაიზარდა.⁹

1933 წელს შემუშავდა ახალი კურსი საკანონმდებლო საფუძვლებისა კრიზისის მოთოკვის მიზნით. ახალი კურსის პირველ კანონებს უნდა აღედგინათ მოსახლეობის ნდობა მთავრობისადმი, მხარი დაეჭირათ ეროვნული ვალუტისთვისა და ეკონომიკისათვის მთლიანობაში ფასების დაცემის შეჩერების მიზნით. „იგეგმებოდა უმუშევრებისთვის დახმარების გაწევა, უმთავრესად-მშენებლობის სტიმულირების მასშტაბური პროგრამის ჩარჩოებში, აგრეთვე უმუშევრებისადმი დახმარების ფედერალური მხარდაჭერის პროგრამის მეშვეობით. 1933 წლის 6 მარტს პრეზიდენტმა რუზველტმა ოთხდღიანი საბანკო "არდადეგები" გამოაცხადა. კონგრესმა რუზველტის ინიციატივა მოიწონა და ფინანსთა სამინისტროს ბანკების შემოწმება დაავალა. ჩატარებული რევიზიის შემდეგ, მხოლოდ პირველი თვის განმავლობაში ახალმა ადმინისტრაციამ მილიარდზე მეტი დოლარი დამალული აღმოაჩინა. გლას-სტიგალის კანონმა 1933 წელს გააფართოვა ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს უფლებამოსილებანი, რომელიც საბანკო სისტემას აკონტროლებდა. ამ ორგანომ ბანკები აიძულა გაეყოთ სადეპოზიტო და საინვესტიციო ფუნქციები, დააწესა დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია.¹⁰ სახლის მფლობელთა კორპორაციამ (შეიქმნა 1933 წელს) შემდგომი სამი წლის განმავლობაში მილიონ სახლის მეპატრონეს გადასცა სესხი 2 მილიარდზე მეტი დოლარის ოდენობით. „რუზველტმა გააუქმა ოქროს სტანდარტი იმ იმედით, რომ საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში დოლარის ღირებულება დაეცემოდა, ხოლო შიგა ფასები გაიზრდებოდა. ამ ზომებმა მართლაც

⁹ მთავარი საფრთხე: უმუშევრობა, ინფლაცია და ფინანსური კრიზისი: ეს უკვე რისკი კი არა, სამწუხარო რეალობაა. ნათია ლომიძე. რეზონანსი. თბილისი, 2018. 22 თებერვალი. N 38. გვ. 8.

¹⁰ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

გამოიწვია ფასების ზრდა, დოლარის ღირებულების საერთაშორისო ბაზრებზე, ოლონდ – ხანმოკლე ვადით. ფასების მომატების კამპანიის წარმატების შეწირვით გარისკვა რუზველტს არ სურდა, ამიტომაც რუზველტმა უარყო ლონდონის ეკონომიკური კონფერენციის წინადადება ვალუტების საერთაშორისო კურსის სტაბილიზების თაობაზე (1933 წ.). კანონებმა ფასიანი ქაღალდებისა (1933 წ.) და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ (1934 წ.) ინვესტორები თაღლითური გარიგებებისაგან დაიცვა, რომელმაც საფონდო ბაზარი 1920-იანი წლებში საგრძნობლად შეასუსტა. კანონმა ბანკების შესახებ (1935 წ.) კიდევ უფრო გააძლიერა ფედერალური კონტროლი ბანკებზე, საკრედიტო სისტემებზე და ფასიანი ქაღალდების ბრუნვაზე. ამ ზომებმა თანდათან აღადგინეს ნდობა საფინანსო სისტემებისადმი. სხვა კანონებთან შესაბამისად, შეიქმნა პოტენციურ მომხმარებლებზე სახსრების გადანაწილების სააგენტოები. საგანგებო დახმარების გაწევის ფედერალურმა ადმინისტრაციამ ჰარი ჰოპკინსის მეთაურობით, შტატებს 200 მილიონი დოლარი უმუშევრებისთვის პირდაპირი დახმარების გაწევისათვის გადასცა.¹¹

1933 წელს გამოიცა კანონი ეროვნული მრეწველობის აღდგენის თაობაზე. „აღდგენის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ამ კანონის საფუძველზე დაადგინა ხელფასების, ფასების დონე საწარმოო ქვოტებთან ერთად მრეწველობის 750 დარგისათვის. იმავე კანონის ძალით შეიქმნა საზოგადოებრივ სამუშაოთა ადმინისტრაცია, რომელსაც მსხვილი სამშენებლო პროგრამების განხორციელება დაეკისრა. ამ ორგანიზაციამ განახორციელა სამშენებლო მასალების შესყიდვა, რასაც ბიძგი უნდა მიეცა სამშენებლო კომპლექსისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებისათვის. სამშენებლო პროექტები შექმნიდა სამუშაო ადგილებს ათასობით უმუშევრისათვის. მომხმარებელს ეძლეოდა იმ საქონლის შესყიდვის

¹¹ მთავარი საფრთხე: უმუშევრობა, ინფლაცია და ფინანსური კრიზისი: ეს უკვე რისკი კი არა, სამწუხარო რეალობაა. ნათია ლომიძე. რეზონანსი. თბილისი, 2018. 22 თებერვალი. N 38. გვ. 8.

საშუალება, რომელსაც აღდგენის ეროვნული ადმინისტრაცია აკონტროლებდა დარგების მიხედვით.“¹²

რა გახდა ასეთი მნიშვნელოვანი ფინანსური კრიზისის მიზეზი?

- "დიდი დეპრესია" 1920 წლის შემდეგ აშშ-ის ეკონომიკაში ბალანსის დარღვევამ გამოიწვია. სწორედ მაშინ წარმოიშვა ჭარბწარმოების პირველი ნიშნები. მთავრობამ ამ ნიშნებზე საჭირო ქმედებით რეაგირება არ მოახდინა. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო განსაზღვრულ მარეგულირებელ გავლენას ეკონომიკაზე არ ახდენდა;
- "დიდი დეპრესიის" პერიოდამდე მთავრობები იშვიათად მონაწილეობდნენ ეკონომიკის მართვის პროცესებში, ისინი ენდობოდნენ საბაზრო ურთიერთობებს, რომ ეკონომიკური კორექცია თავისთავად მოხდებოდა. აშშ-ის ბაზარი დეპრესიას ვერ გაუმკლავდა, რამაც ბიძგი მისცა სრულიად ამერიკაში კარდინალურ ცვლილებებს;
- ამერიკელები ფრთხილი ოპტიმიზმისადმი მიდრეკილებას არ ამჟღავნებდნენ. საზოგადოებაში დამკვიდრდა ეიფორიული შეგრძნება "ახალი ერის" დამკვიდრებისა, რომელიც ყოველ ადამიანს მინიმუმ რესპექტაბელური შემოსავლით უზრუნველყოფდა;
- არა მარტო მდიდარნი, არამედ მილიონობით საშუალო შემოსავლის მქონე ამერიკელები, მუშებიც კი შეისყიდინდნენ კომპანიათა აქციებს, ელოდნენ მათი ღირებულების მომატებას;
- სპეკულაციური მოლოდინის წყალობით ფასიანი ქაღალდების ღირებულება გამუდმებით იზრდებოდა, თანაც ხელოვნურად. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე 1924-1929 წლებში დარეგისტრირებული აქციების საერთო ღირებულება თითქმის სამჯერ გაიზარდა. თამაშის გაგრძელებისაკენ მიმართული ქმედებანი და მითითებანი ქვეყნის ეკონომიკას უკიდურესად ასუსტებდა;

¹² ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.

- მრავალი ამერიკელი თვლიდა, რომ ეკონომიკური სირთულეების პერიოდში მთავრობას უნდა შეემცირებინა სახელმწიფო ხარჯები, ეკონომიკისთვის კი შესაძლებლობა უნდა მიეცა თვითონ გამკლავებოდა წარმოქმნილ პრობლემებს;
- ეკონომიკისთვის კიდევ ერთი საფრთხე საერთაშორისო ვალების დაფარვის არამდგრადი სისტემა გახლდათ, რომელიც მთლიანად დამოკიდებული იყო ამერიკული დოლარის შემოდინებაზე.

„აშშ-ს შემდეგ ფინანსური კრიზისის გავრცელება საყოველთაო იყო, რადგანაც მთავრობების მიერ მიღებული ზომები არც ისე კორექტული იყო. საექსპორტო შემოსავლების დაცემის შეჩერებას ისინი იმპორტზე ტარიფების მომატებით შეეცადნენ, რამაც ვაჭრობაში სიტუაცია კიდევ უფრო გააუარესა. ამის გარდა, როგორც კი დეფლაცია ეკონომიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების ერთადერთ პოლიტიკად გადაიქცა, მთავრობათა ერთადერთი პასუხი კრიზისზე მიმართული იქნა დანახარჯების შემცირებისკენ. ამის შედეგად სამომხმარებლო მოთხოვნილება კიდევ უფრო დაეცა. დეფლაციის პოლიტიკა ძალიან მჭიდროდ უკავშირდებოდა ვალუტების კურსებს. ვალუტების კურსები თავის მხრივ კავშირში იყო ოქროს ღირებულებასთან ოქროს სტანდარტის მიხედვით. ოქროს სტანდარტი სახელმწიფოებს ავალდებულებდა ფიქსირებადი სავალუტო კურსი შეენარჩუნებინათ. ფასებისა და ვალუტისადმი ინტერესის დაცემასთან დაკავშირებით უფრო და უფრო რთული ხდებოდა ოქროს სტანდარტის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით ქვეყნებმა ერთმანეთის მიყოლებით უარი თქვეს ოქროს სტანდარტის შენარჩუნებაზე, რამაც მთელს მსოფლიოში ბანკების უმრავლესობის გაკოტრება გამოიწვია. სამრეწველო და საფინანსო სახელმწიფოში არსებულმა ეკონომიკურმა ქაოსმა სერიოზული გავლენა მოახდინა ევროპულ სახელმწიფოებში არსებულ სიტუაციაზე, რადგანაც ისინი მთლიანად იყვნენ

დამოკიდებულნი ამერიკულ კაპიტალზე და ამერიკულ ბაზარზე.¹³ აშშ-ის კაპიტალდაბანდებანი ოკეანის იქით, კვამლივით გაიფანტა.

დეპრესიამ ძლიერი გავლენა მოახდინა გერმანიის ეკონომიკაზე. აქ არსებული ეკონომიკური სიტუაცია გამოწვეული იყო უზარმაზარი ვალით, რომელიც ქვეყანას გააჩნდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით დადებული პირობების მიხედვით. გერმანია იძულებული იყო აეღო სესხები, გამარჯვებული ევროპული ქვეყნებისთვის რეპარაციები რომ გადაეხადა სამრეწველო რეკონსტრუქციის ხარჯებთან ერთად. ამერიკული ბანკები გერმანიას სესხებს აძლევდა. ამერიკული ბანკების დაშლის შემდეგ ამ კრიზისში მათ გერმანელებიც ჩაითრიეს. დეპრესიას ღრმა პოლიტიკური აზრი და შედეგებიც გააჩნდა. გერმანიაში და იაპონიაში დეპრესიაზე რეაქცია ის იყო, რომ ძალაუფლება გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ხელში შეიარაღებული გადატრიალების გზით ჩაიგდეს. ამ გარემოებამ დიქტატურის დამყარება და მალე მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია. გერმანიაში ჰიტლერმა აირჩია პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იყო უმუშევრობის შემცირებაზე მოსახლეობის წარმოებაში ჩართვის გზით, რის შედეგადაც 1939 წელს გერმანიის მთლიანმა ეროვნულმა პროდუქტმა 1929 წლის მაჩვენებელს 51%-ით გადააჭარბა. ზრდა ძირითადად გამოიწვია შეიარაღებული ძალებისა და მოწყობილობების წარმოებამ. გერმანული ვარიანტი გახლავთ ძირითადი ნიმუში იმისა, რაც ფაქტიურად ყველგან მოხდა დიდი დეპრესიის დროს. საერთაშორისო ეკონომიკა გაიყო ბლოკებად, რომლებიც განსაზღვრული იყო პოლიტიკური დამოკიდებულებით და იმ ვალუტით, რომლითაც ეს ქვეყნები ვაჭრობდნენ. ბლოკებს შორის ვაჭრობა ძლიერ შეიზღუდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკა კრიზისის შემდეგ აღორძინდა, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და პოლიტიკური მდგრადობის დამყარებაში.

¹³ ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.

საიმპორტო ქვოტების უწესრიგო შემოღებამ, სატარიფო ბარიერების შექმნამ, ოქროსა და ვალუტის გაცვლაზე შემოღებულმა შეზღუდვებმა, სხვა პროტექციონისტურმა ზომებმა (რომლებიც ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებას სხვის ხარჯზე ითვალისწინებდა) ძლიერ შეარყია საერთაშორისო ვაჭრობისა და ურთიერთგადახდების სისტემა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ინგლისში ფინანსური კრიზისი გარკვეული დაგვიანებით დაიწყო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ წინაკრიზისულ პერიოდში ქვეყნის მრეწველობა ნელი ტემპით ვითარდებოდა. შედარებით მძიმე გამოხატულებას ფინანსურმა კრიზისმა **დიდ ბრიტანეთში** 1933 წელს მიაღწია, როდესაც წარმოება 23%-ით დაეცა. კრიზისმა ყველაზე მეტად მრეწველობის ტრადიციულ დარგებს დაატყა. შემცირდა ქვანახშირის მოპოვება, თუ 1929 წელს მოპოვებულ იქნა 258 მლნ ტონა, 1933 წელს ეს მაჩვენებელი 208 მლნ ტონამდე შემცირდა. დაზარალდა მეტალურგიაც, კრიზისმა მრეწველობის ეს დარგი 70 წლით უკან დასწია. ამის პარალელურად გაიზარდა იმპორტი 768, 7 მლნ-დან 1 316,2 მილიონ ფუნტ სტერლინგამდე. გაიზარდა სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. 10-ჯერ გაიზარდა ინგლისის შიდა ვალი, 645 მლნ ფუნტი სტერლინგიდან 1913 წლისათვის 6,6 მილიარდ ფუნტ სტერლინგამდე. 1919 წლის ბოლოს ქვეყნის საგარეო ვალი შეადგენდა 1 150 მლნ ფუნტს, აქედან 850 მლნ ფუნტი სტერლინგი აშშ-ზე მოდიოდა. ამრიგად დიდი ბრიტანეთი კრედიტორის პოზიციიდან ამერიკული ბანკების მევალედ იქცა. ყოველივემ დაარღვია ინგლის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, მან ვერ შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური პოზიციები აზიასა და ლათინურ ამერიკაში, რაც იოლად ჩაანაცვლა ამერიკულმა და იაპონურმა კაპიტალმა.

კრიზისმა მოიცვა ინგლისის სოფლის მეურნეობაც. ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე 1930-1932 წლებში დაეცა 34%-ით. 2/3-ით დაეცა მთლიანად მსოფლიო ვაჭრობა. ინგლისური ექსპორტი, რომელიც 1929 წელს 729,3 მლნ ფუნტს შეადგენდა, 1932 წელს შემცირდა 365 მლნ ფუნტამდე. ამერიკული მომხმარებლის დაკარგვისთანავე დიდი ბრიტანეთი 1931 წლის სექტემბერში

იძულებული იყო ოქროს სტანდარტი გაეუქმებინა, რამაც გამოიწვია ფუნტი სტერლინგის გაუფასურება. მალე მას მიყვა შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ირლანდიის და სხვა ევროპული სახელმწიფოების ეროვნული ვალუტების კურსის დაცემა. ინგლისში მეფობდა უმუშევრობა, თუ 1930 წელს მათი რაოდენობა 16,8% შეადგენდა, 1932 წელს ეს მაჩვენებელი 25,5%-მდე გაიზარდა.

„მსოფლიო ბაზარზე ინგლისური ვალუტის კურსის გამყარების მიზნით 1931 წელს შექმნილი იქნა სტერლინგის ბლოკი, სადაც შევიდნენ შვეცია, ნორვეგის, დანია, ფინეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია, პარაგვაი, ბოლივია, ტაილანდი, ირანი და ეგვიპტე. სტერლინგის ბლოკში შესვლით მონაწილე ქვეყნები საკუთარი ქვეყნის ვალუტის კურსს აფიქსირებდნენ ინგლისურ ფუნტ სტერლინგთან შესაბამისობაში, მათი სავალუტო რეზერვები ინახებოდა ძირითადად ლონდონში, ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებში საანგარიშსწორებო ერთეული იქნებოდა ფუნტი სტერლინგი. სტერლინგის ბლოკმა საშუალება მისცა ინგლისურ ვალუტას მომსახურებოდა მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის 40-50%-ს.“¹⁴

1930 წლის შემოდგომაზე საფრანგეთში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც 1935 წლამდე გასტანა. წარმოების დონე არ დაცემულა ისე სწრაფად, როგორც ეს მოხდა აშშ-სა და გერმანიაში, მაგრამ სამაგიეროდ ქონდა ხანგრძლივი პერიოდი. სამრეწველო წარმოების მოცულობა შემცირდა 44%-ით, კერძოდ 69,6%-ით დაეცა ფრანგული მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა ტექსტილის მრეწველობა. ექსპორტ-იმპორტი შემცირდა 65%-ით. ეკონომიკური კრიზისი ფინანსურ სექტორსაც შეეხო და არაერთი ბანკის გაკოტრება გამოიწვია. მოსახლეობა აღმოჩნდა გადახდისუუნარო აღებული სესხების და სხვა ფინანსური ვალდებულებების წინაშე. მომუშავეთა შრომის

¹⁴ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

ანაზღაურების დონე დაეცა 38%-ით. გაჩერდა ათეულობით ფაბრიკა და ქარხანა. 1935 წელს უმუშევართა რიცხვმა 1 მლნ ადამიანს გადააჭარბა.

სამრეწველო წარმოების ინდექსი 1929 წლის მაჩვენებლებით

ქვეყანა	1930	1931	1932	1933	1934	1935
აშშ	80,7	68,1	53,8	64,9	66	76
დიდი ბრიტანეთი	92,4	83,8	83,8	86,1	99	106
საფრანგეთი	100,7	89,2	69,1	77,4	75	72
გერმანია	88,3	71,7	59,8	66,8	80	94

წყარო: Основная статья: Мировой экономический кризис 1929-1933 годов

<http://wikiwhat.ru/>

გადამოწმებულია 31.05.2019

(სამრეწველო წარმოების ინდექსი არის სამრეწველო წარმოების მოცულობის, მისი ზრდის ან დაცემის დინამიკის მაჩვენებელი, განისაზღვრება წარმოების მიმდინარე მოცულობის შეფარდებით საბაზისო პერიოდის შესაბამის მაჩვენებელთან, გამოხატულს ფულადი ფორმით)

თავი II ფინანსური კრიზისები გეოგრაფიული საზღვრების გარეშე


2.1. საბერძნეთი ევროზონის ფინანსური პრობლემების ფონზე

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ევროზონის ფინანსური პრობლემები საბერძნეთის სიტუაციამ გამოიწვია, რაც ნაკლებად შეეფერება სიმართლეს, რადგან მხოლოდ ცალკეული ქვეყანა არ არის ამ კრიზისის წყარო. „კრიზისის საწყისები უნდა ვეძიოთ ევროპის მონეტარული კავშირის ფუძემდებლური პრინციპების უგულებელყოფაში, ე.წ. მასტრიხტის შეთანხმების დაცვაში (Treaty of Maastricht). მართლაც, 1997 წელს ევროს „დაბადება“ ამ პრინციპს ეფუძნებოდა-ეს იყო მასტრიხტის ცნობილი შეთანხმება და მისი სახელწოდება იყო „სტაბილურობისა და ზრდის პაკტი“.


შეთანხმების გაფორმებიდან მალე დაიწყო არსებული პირობების უგულებელყოფა:

- შეთანხმების პირობები პირველად იტალიამ დაარღვია და არასოდეს ასრულებდა დადებულ შეთანხმებას ანუ არ იცავდა 3 %-იან საბიუჯეტო დეფიციტის ზღვარს;
- დამღრვევთა შორის გერმანიაც უყო, მან ასევე არაერთხელ სხვადასხვა

ეკონომიკური ზრდის ტემპი



უმუშევრობის დონე




რღვია ეს პირობა;

- იმ ფონზე, როდესაც ევროზონის სამიდან ორმა უდიდესმა ქვეყანამ არ დაიცვა მასტრიხტის მოთხოვნები, მათ მაგალითს ევროზონის მესამე გიგანტი - საფრანგეთი შეუერთდა და მანაც დაარღვია ეს პირობები;
- ერთადერთი ევროზონის ქვეყანა, რომელიც ყოველთვის და ბოლომე იცავდა ამ შეთანხმებას (2008 წლამდე) და არასოდეს დაურღვია პირობა ესპანეთი ყოფილა. ის 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე იცავდა შეთანხმებას. მეტიც, ესპანეთს ყველაზე პატარა სახელმწიფო ვალი აქვს ამ ოთხეულში (ანუ სახელმწიფო ვალის ოდენობა ეკონომიკის სიდიდესთან მიმართებით);
- საბერძნეთი ამ ჭრილში სხვა კატეგორიაა - ის არასოდეს იცავდა 3% ზღვარს და არც კი ჰქონდა ეს მაკროეკონომიკურ მიზნებს შორის, მაგრამ მოხერხებულად მანიპულირებდა სტატისტიკური მონაცემებით და აყალბებდა რა ციფრებს კარგად გამოიყურებოდა. ამის ხარჯზე ევროზონაშიც შევიდა და სამაგალითო ქვეყანა იყო, სანამ ციფრებით მანიპულირება არ გამჟღავნდა.¹⁵

¹⁵ მთავარი საფრთხე: უმუშევრობა, ინფლაცია და ფინანსური კრიზისი: ეს უკვე რისკი კი არა, სამწუხარო რეალობაა. ნათია ლომიძე. რეზონანსი. თბილისი, 2018. 22 თებერვალი. N 38. გვ. 8.

ერთ მოსახლეზე შემოსავალი (აშშ დოლარი, PPP)




2008 წლიდან 2013 წლამდე საბერძნეთის ეკონომიკა 26%-ით შემცირდა (გრაფიკი 1). ეკონომიკის შემცირების შედეგად სულ მოსახლეზე წლიურმა საშუალო შემოსავალმაც იკლო. „2008 წელს საბერძნეთში სულ მოსახლეზე შემოსავალი \$31,253 იყო, 2013 წელს კი \$25,132 (გრაფიკი 2). 2009 წელს საბერძნეთის ხელისუფლებაში მოვიდა მემარცხენე-ცენტრისტული პარტია “პასოკი”, რომელმაც კრიზისიდან გამოსვლის მიზნით გაზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები (მშპ-ის 50%-დან 54%-მდე), რასაც შედეგად მოჰყვა ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-ის 15.2%-მდე ზრდა (ევროზონის ქვეყნებში დეფიციტის ზედა ზღვარი 3%-ია). 2009 წელს სახელმწიფო ვალი 36 მილიარდი ევროთი გაიზარდა. საკრედიტო რეიტინგის კლების შედეგად გაიზარდა საბერძნეთის სამთავრობო ობლიგაციების ფასი, ანუ მთავრობას კრედიტის აღება გაუძვირდა.“¹⁶

2010 წელს საბერძნეთის ეკონომიკის კრიზისი გაღრმავდა და წლის დასაწყისში მთავრობას ბიუჯეტის ხარჯების შემცირება მოუწია. „ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 52%-მდე შემცირდა. შემცირება ძირითადად სამთავრობო სექტორში დასაქმებულთა ხელფასებს შეეხო. 2010 წლის მარტში ფისკალური ბალანსის

¹⁶ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.


საბერძნეთის სახელმწიფო ვალის დინამიკა



გასაუმჯობესებლად მთავრობამ კვლავ შეამცირა ხარჯები და, ამასთან ერთად, გაზარდა დამატებითი ღირებულების გადასახადის განაკვეთი და აქციზის გადასახადები. საბერძნეთმა კრედიტორების წინაშე ვალდებულება აიღო, რომ 2012 წლამდე ფისკალური სტაბილურობის გაუმჯობესების რეფორმის მე-3 ეტაპს გაატარებდა, რაც მკაცრ ზომებს გულისხმობდა (მაგალითად, მე-13 და მე-14 თვის ხელფასის გაუქმება საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის, რომელთა თვიური ხელფასი 3000 ევროზე მეტი იყო, ასევე სხვა ბენეფიტების გაუქმება, 1000-დან 400-მდე მუნიციპალიტეტის გაუქმება, მე-13 და მე-14 თვის პენსიების გაუქმება 2500 ევროზე მაღალი პენსიის მქონე პირებისთვის, ქალების საპენსიო ასაკის 60-დან 65-მდე აწევა, გადასახადების გაზრდა, შრომის რეგულაციების გამარტივება). ამ გეგმის გამჟღავნებას საბერძნეთში მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა, რომელთა დროსაც სამი ადამიანი დაიღუპა. 2010 წლის მაისში პარლამენტმა რეფორმების მე-3 ეტაპი მანკ დაამტკიცა.¹⁷

¹⁷ ი. ლაითაძე. „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და მისი სავარაუდო მიზეზები“. ჟურნალი- Forbes Georgia. - თბ, 2013. მაისი. N18. გვ.28-29.

2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 10%-მდე შემცირდა, თუმცა სახელმწიფო ვალმა ზრდა განაგრძო. „2012 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მემარჯვენე-ცენტრისტულმა „ახალმა დემოკრატამ“ 30%-ით მოიგო, თუმცა პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად „პასოკთან“ და „მემარცხენე დემოკრატებთან“ კოალიციის შეკვრა დასჭირდა. პრემიერ-მინისტრი „ახალი დემოკრატის“ ლიდერი ანტონის სამარასი გახდა. ახალმა მთავრობამ ფისკალური სტაბილურობის მიღწევის რიგით მე-6 გეგმა წარმოადგინა, რომელიც წინა გეგმებთან შედარებით კიდევ უფრო მკაცრი იყო. აღნიშნული გეგმა 2013-2016 წლებში უნდა განხორციელებულიყო, რის შედეგადაც სახელმწიფო პენსიები საშუალოდ 15%-ით შემცირდებოდა, საპენსიო ასაკი 65 წლიდან 67 წლამდე გაიზრდებოდა, საჯარო სექტორში ხელფასები 20%-ით შემცირდებოდა. ასევე გაგრძელდებოდა რეფორმები შრომის რეგულაციების გამარტივების კუთხით. 2012 წელს ბიუჯეტის დეფიციტი 6.2%-მდე ჩამოვიდა, სახელმწიფო ვალი კი 51 მილიარდი ევროთი შემცირდა და მშპ-ის 157% შეადგინა.“¹⁸



¹⁸ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

2.2. კრიზისის გლობალური ხასიათი და ფინანსური კრიზისები დედამიწის აზიურ ნაწილში

ფინანსური კრიზისების ტალღამ დედამიწის აზიურ ნაწილსაც გადაუარა. 1997-1998 წლებში ფინანსურმა კრიზისმა იფეთქა სამხრეთ აზიის სახელმწიფოებში: ტაილანდში, მალაიზიაში, ჰონგ-კონგში, სინგაპურში, ინდონეზიაში, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში. დასავლური პრესა იუწყებოდა აზიური ფინანსური გრიპის შესახებ და ხედავდა საშიშროებას, რომ იგი ევროპასაც გადაედებოდა. ეს იყო ყოვლად მოულოდნელი კრიზისი, იმ ფონზე, რომ ეს სახელმწიფოები ვითარდებოდნენ არაჩვეულებრივად სწრაფი ტემპებით, მათი ეკონომიკური განვითარების მოდელები მიიჩნეოდა სამაგალითოდ მსოფლიოში. 1990-1996 წლებში სამხრეთ კორეას ჰქონდა 7,2%-იანი მშპ-ს ზრდა, მალაიზიას და სინგაპურს-8,7%-იანი, ტაილანდს-8,4%-იანი, ინდონეზიას-7,6%-იანი და ა.შ. მაგრამ 1997 წლის შემოდგომაზე დაიწყო პანიკა, რომელმაც პირველ რიგში სამხრეთ აზიური საფონდო ბირჟები მოიცვა. ამ გეოგრაფიულ არეალში შემავალი სახელმწიფოების ეროვნულმა ვალუტებმა, რომლებიც დოლართან მიმართებაში შესაშურ სიმყარეს იჩენდნენ, კურსის კატასტროფული დაცემა დაიწყო. სამხრეთკორეის სავალუტო კურსი დაეცა 47%-ით, ტაილანდის-45%-ით, ინდონეზიის რუპია-56%-ით და ა.შ. ერთმანეთის მიყოლებით გაკოტრდა უამრავი ბანკი, დაიხურა საწარმოები, დაეცა წარმოება, დაიხურა რამოდენიმე ადგილობრივი კონცერნი, ათასობით ადამიანი დაკარგა სამუშაო. მალაიზიაში დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ქვეყნიდან გაეშვათ 1 მლნ-ზე მეტი მიგრანტი. ამ ქვეყნებს საერთო აზიური რეგიონის სავაჭრო ბრუნვაში სერიოზული ნიშა ეჭირათ და შეადგენდა ექსპორტის 40%.

რამ გამოიწვია მსოფლიო აზიური კრიზისი? ექსპერტების ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ არ არსებობდა კრიზისის გამომწვევი არანაირი ფუნდამენტალური ეკონომიკური მიზეზი. მათი აზრით ყველაფერი გამოიწვია სპეკულიაციურმა თამაშებმა, როდესაც ხელოვნურად მოხდა საერთაშორისო ფინანსური ინვესტორების ნდობის შერყევა, რაცას მოჰყვა ფინანსური ინვესტორების მიერ

აზიური აქტივების პანიკური გაყიდვები საფონდო ბირჟებზე. პანიკამ მოიცვა განურჩევლად ყველა, ისეთი ქვეყნებიც კი როგორცაა რუსეთი და ბრაზილია. ექსპერტების განსხვავებული ჯგუფის აზრით არსებობდა კრიზისის გამომწვევი ბევრი ფუნდამენტალური ეკონომიკური მიზეზი, მათ შორის ერთ-ერთი სერიოზული აზიური რეგიონის საბანკო სისტემა იყო.

1990-იან წლებში მათ მიიღეს უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადი, რაც რა თქმა უნდა არანაირ პრობლემას არ შექმნიდა თუ მოხდებოდა მათი სწორად და მიზნობრივად დაბანდება. სამწუხაროდ ადგილობრივი კომერციული ბანკების უმეტესობამ კრედიტები მეგობრობის, ოჯახური თუ პოლიტიკური შეხედულებისამებრ გაანაწილეს, რასაც შემდგომ „მეგობრული კაპიტალიზმი“ ეწოდა («crony capitalism»). ბუნებრივია ასეთ ქმედებას არ ექნებოდა სერიოზული უკუგება, რამაც გაზარდა დეფოლტი. ფინანსურმა ინვესტორებმა გაიაზრეს, რომ აზიური კრედიტებიდან და ინვესტიციებიდან მოსალოდნელზე ბევრად ნაკლებ შემოსავალს მიიღებდნენ, რამაც გამოიწვია აზიური აქტივების გაყიდვების პროვოცირება და გამოიწვია სავალუტო კრიზისი. რეგიონის სამმა ქვეყანამ: ინდონეზიამ, კორეამ და ტაილანდმა დახმარებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიმართა. ფინანსურ კრიზისთან გამკლავების სტრატეგია სამი კომპონენტისაგან შედგებოდა:

- დაფინანსება, რომლისთვისაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 35 მილიარდი \$ გამოყო;
- მაკროეკონომიკური პოლიტიკა;
- სტრუქტურული რეფორმები;

აზიური კრიზისის შედეგები აშს-სა და დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისათვის საგანგაშო არ აღმოჩნდა. ჰქონდა ადგილი ამ ქვეყნების საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების კურსის ცვლილებებს, მაგრამ 1998 წლიდან პროცესებმა დაიწყო სტაბილიზაცია. თუმცა არც ასე შეუმჩნეველი იყო ყველაფერი, თუნდაც იმ გააზრებით, რომ სამხრეთ აზიის სახელმწიფოებზე მოდიოდა მსოფლიო მშპ-ს 1/3 და აშშ-ში ექსპორტის 40%. შედარებით უფრო მტკივნეულად აღიქვეს ეს

კრიზისი რუსეთმა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა, სადაც ნაკლები იყო ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობა.

გლობალური ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა არ შეჩერებულა. უფრო მეტიც, ჩინეთის ეკონომიკამ იაპონიას გაუსწრო და მსოფლიოში, შეერთებული შტატების შემდეგ, მეორე ადგილზე გავიდა. ჩინეთის ლიდერები შიდა მოხმარებისა და მოთხოვნის გაზრდას ცდილობენ, რაც ჩინეთის ბაზარს გლობალურ ასპარეზზე ახალ ეკონომიკურ ძალას გახდის. ჩინეთში ავტომანქანების გაყიდვამ 2010 წელს ამერიკის მაჩვენებელს გაუსწრო და შედეგად ჩინეთის საავტომობილო ბაზარი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი გახდა. 2009 წელს ჩინეთში 13.6 მილიონი ავტომანქანა გაიყიდა. ჩინეთის მზარდი ეკონომიკური გავლენა, უწინარეს ყოვლისა საზღვარგარეთ ბევრი ჩინური ინვესტიციების დაბანდებამ გამოისახება. ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობის ფონზე, ქვეყანაში სულ უფრო მეტი იმიგრანტი შეღწევას ცდილობს. მაგალითად, ჩინეთის სამხრეთის რეგიონის კომერციული ცენტრი ქალაქი გუანჯოუ მოულოდნელად აფრიკის ქვეყნებიდან და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული იმიგრანტების თავშეყრის ადგილი გახდა.

„Bloomberg-ის საერთაშორისო ექსპერტების 45% აკეთებდა დაკვვნებს, რომ „უახლოეს ხუთ წელიწადში ჩინეთში ფინანსური კრიზისი განვითარდებოდა“. ისინი თვლიდნენ, რომ ჩინეთში არსებობს სპეკულიაციური საკრედიტო ნასკვი, რომელიც დიდ ხანს ვერ გამლბება, ამის გამო ჩინეთის მეზობელი სახელმწიფოები თავს იკავებენ ამ ქვეყანაში საინვესტიციო პროექტებისაგან. 2010 წლის მონაცემებით ჩინეთმა შემლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებლით მოზიდვა-105,7 მილიარდი\$. არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელიც 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ჩინეთის ეკონომიკის სიმყარეს ეყრდნობა. თუმცა Bloomberg-ის საერთაშორისო ექსპერტების პროგნოზი ნაწილობრივ გამართლდა. მსოფლიოში სიდიდით მეორე ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ჩინეთის ეროვნული ვალუტა გაუფასურდა. ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე ასევე მკვეთრად დაეცა ჩინეთის საფოლნო ბირჟაც.

მთავრობამ გარკვეული პრევენციული ზომები მიიღო და ინვესტორების შენარჩუნება და გლობალურ ბაზარზე ნდობის დაბრუნება სცადა. შედეგად ვითარება ბოლო რამდენიმე დღეა, ჩინეთის საფონდო ბირჟაზე გამოსწორდა. თუმცა, საფრთხეები კვლავ არსებობს. 2014 წელს, ჩინეთის ეკონომიკის ზრდამ, უკანასკნელი 24 წლის მინიმალურ მაჩვენებელს მიაღწია. 2014 წლის მონაცემების მიხედვით, ჩინეთში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 7,4% შეადგინა და 63,646 იუანი ანუ, 10,4 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც 1998 წლის ეკონომიკური ზრდის შემდეგ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამასთან ერთად, ქვეყნის მთავრობა, ხალხს ოპტიმიზმის შენარჩუნებისა და ეკონომიკაში აქტიური ინვესტირებისკენ მოუწოდებს. "ეკონომიკა ახალი ნორმის პირობებში, ინარჩუნებს მდგრად ზრდას", - ირწმუნება ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი მა ცზიანტანი. სამრეწველო პროდუქტის ზრდის ტემპი 8,3%-ით შემცირდა, ინვესტიციების ზრდამ 15,7% შეადგინა. გაყიდვების საერთო მოცულობა კი, 12%-იანი ზრდის პირობებში, 26,24 ტრილიონ იუანს გაუტოლდა.¹⁹

„აშშ-ს ფინანსურ ბაზარზე სახსრების ლიკვიდურობის მკვეთრმა დაცემამ აიძულა ბანკები ნაკლები კრედიტი გაეცათ, რის საფუძველზეც წარმოიშვა „ფინანსური თრომბი“, რომლის გამო ფინანსური კრიზისი რეალურ სექტორს გადაეცა. 2008 წლის ზედიზედ ორ (მესამე და მეოთხე) კვარტალში ეკონომიკური ზრდის ტემპი შესაბამისად 0,5 და 6,2 %²⁵-ით შემცირდა, რაც ეკონომიკური რეცესიის დაწყებას მოასწავებდა. გაიზარდა უმუშევრობა, რომლის დონემ 2009 წლის დასაწყისში 7,6%-ს, ხოლო შუა პერიოდში - 9,4%-ს მიაღწია (შედარებისათვის: წინა 10 წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი 4-5%- ის ფარგლებში მერყეობდა). დაეცა სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რაც ციკლური კრიზისისთვისაა დამახასიათებელი. ფინანსური კრიზისის ზემოქმედებით მნიშვნელოვნად გამწვავდა აშშ-ს ეკონომიკისთვის ისეთი ტრადიციულად დამახასიათებელი პრობლემები, როგორც იყო სავაჭრო და საგადასახდლო დეფიციტი და სახელმწიფო ვალი.

¹⁹ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

კერძოდ: 2008 წელს სავაჭრო დეფიციტი 700 მლრდ დოლარს, ხოლო საგადასახდელო დეფიციტი - 850 მლრდ დოლარს შეადგენდა. სახელმწიფო ვალი კი ასტრონომიულ ციფრს - 10,6 ტრლნ დოლარს აღწევდა. მათ შორის წმინდა საგარეო დავალიანება 1996 წლის 456 მლრდ დოლარიდან, ანუ ქვეყნის მშპ-ს 5,8%-დან 2007 წელს 2 ტრლნ 442 მლრდ დოლარამდე, ანუ, მშპ-ს 18%-მდე გაიზარდა. ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 1 ტრლნ დოლარს და უპრეცედენტოდ მაღალი იყო ბოლო 60 წლის განმავლობაში. ეკონომიკის რეალური სექტორის შემცირება გამოიხატა აშშ-ში სამრეწველო წარმოების მოცულობის კლებით, რომელიც 2009 წლის მარტში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14,5%-ით შემცირდა. ამერიკული წარმოშობის ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მკვეთრად შეამცირეს პროდუქციის მიწოდება მსოფლიო ბაზარზე, რაც გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაწყებას ნიშნავდა.²⁰

XX საუკუნეში თითქმის ყველა ეკონომიკური კრიზისი ამერიკაში იწყებოდა და ბევრი მათგანი შემდგომში მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა. ამ თვალსაზრისით, არც მიმდინარე კრიზისი წარმოადგენს გამონაკლისს. ეს ფაქტი განპირობებულია აშშ-ს როლით მსოფლიო ეკონომიკაში. „კერძოდ: აშშ-ში იწარმოება მსოფლიო მშპ-ს 20%-ზე მეტი და მოიხმარება დაახლოებით 40%. აშშ არის ევროგაერთიანების, იაპონიის, ჩინეთის და მთელი რიგი სხვა განვითარებადი, თუ პოსტკომუნისტური ქვეყნების ყველაზე დიდი სავაჭრო- ეკონომიკური პარტნიორი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ აშშ-ში წარმოშობილი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი სხვა ქვეყნებშიაც გავრცელდა. ასე მაგალითად: ევროკავშირის ქვეყნების სამრეწველო წარმოების მოცულობა 2009 წლის აპრილში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20,6%-ით შემცირდა.“²¹

„ექსპერტთა ვარაუდით, 2009 წლის ბოლოს და 2010 წლის დასაწყისში გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი აქტიურად გადაინაცვლებდა აზიის

²⁰ ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.

²¹ მთავარი საფრთხე: უმუშევრობა, ინფლაცია და ფინანსური კრიზისი: ეს უკვე რისკი კი არა, სამწუხარო რეალობაა. ნათია ლომიძე. რეზონანსი. თბილისი, 2018. 22 თებერვალი. N 38. გვ. 8.

რეგიონში, რაც გამართლდა კიდევ. მათი აზრით ეს იმით იქნებოდა გამოწვეული, რომ აზიის წამყვან სახელმწიფოებს (ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი) მკვეთრად გამოხატული საექსპორტო მიმართულების ეკონომიკა გააჩნდათ.. აქედან გამომდინარე, აშშ-სა და ევროგაერთიანების ქვეყნებში ერთობლივი მოთხოვნის მკვეთრი შემცირება უარყოფითად აისახა ამ ქვეყნის ეკონომიკაზე. ჩინეთი ცდილობდა ბიზნესისა და მოსახლეობის იაფი კრედიტებით უზრუნველყოფის გზით მოსალოდნელი კრიზისის პრევენციას, თუმცა, ექსპორტის სრულფასოვანი ჩანაცვლება შიდა მოხმარებით ურთულესი საქმეა და მისი მიღწევა დროის მოკლე მონაკვეთში პრაქტიკულად შეუძლებელია.²²

მიმდინარე კრიზისის სიმწვავე და ხასიათი, ბუნებრივია, ადეკვატური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს როგორც ეროვნული სახელმწიფოების მთავრობების, ისე, საერთაშორისო საფინანსოეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან. „აშშ-ში ნავარაუდევია შემდეგი ანტიკრიზისული პროექტების გატარება: ფინანსური სექტორის ლიკვიდურობის ამაღლება მისთვის სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების გაწევის გზით; ფინანსური ინსტიტუტების ე.წ. „რბილი პრივატიზება“, ანუ, არალიკვიდური საბანკო აქტივების მთავრობის მიერ გამოსყიდვა; ბანკებსა და ფინანსურ ფონდებში დეპოზიტების დაზღვევის საიმედოობის გაზრდა; სადისკონტო განაკვეთის შემცირება; შიდა მოთხოვნის სტიმულირება; გადასახადების შემცირება და ა.შ. საერთოდ, უპრეცედენტოა უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით აშშ-ს მიერ გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ: 2008 წლის ოქტომბერში აქ დაიწყო ფინანსთა მინისტრის პოლსონის გეგმის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა ფინანსური ინსტიტუტებისთვის 700 მლრდ დოლარის დახმარების გაწევას. 2008 წლის ნოემბერში კი ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედ) იპოთეკის, მცირე ბიზნესისა და სამომხმარებლო კრედიტის მხარდაჭერის მიზნით გამოაცხადა დამატებით 800 მლრდ დოლარის გამოყოფა. 2009 წლის გაზაფხულ-ზაფხულში იპოთეკური ფასიანი ქაღალდების

²² გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

გამოსყიდვისთვის კიდევ გამოიყო 750 მლრდ დოლარი. ევროკავშირმა ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე გამოყო ერთი ტრლნ დოლარზე მეტი, ჩინეთმა - 586 მლრდ დოლარი, იაპონიამ - 552,8 მლრდ დოლარი.“²³

კრიზისის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების გაერთიანება და კოორდინირებული ანტიკრიზისული ღონისძიებების დასახვა. „ამ მიზნით, 2009 წლის აპრილში ლონდონში შეიკრიბა „დიდი ოცეულის“ სამიტი, რომელმაც შეიმუშავა კრიზისის დაძლევის ერთიანი გეგმა. გადაწყდა, რომ 2010 წლის ბოლომდე გამოიყოფოდა 5 ტრლნ დოლარი. უშუალოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდს დამატებით გამოეყოფოდა 1 ტრლნ დოლარი, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა საკუთარი რეზერვების შესავსებად და ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. 250 მლრდ დოლარი გამოიყო საერთაშორისო ვაჭრობის სტიმულირებისთვის. ლონდონის სამიტზე მიზანშეწონილად ჩათვალეს ფინანსური სექტორის გამჭირვალეობის ამაღლება, ე.წ. „საგადასახადო ოაზისებზე“, „ოფშორებსა“ და „ფულის გათეთრებაში“ შემჩნეულ ქვეყნებზე კონტროლის დაწესება, სხვადასხვა ტიპის სპეკულაციური ოპერაციების წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებების გატარება. ასე მაგალითად, აშშ-ს ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საბითუმო ბაზარზე ფასების მანიპულირებაზე 2009 წლის ბოლოდან დაწესდებოდა დღეში 1 მლნ დოლარიანი ჯარიმა.“²⁴

ესპანეთის პრობლემა მისი კერძო სექტორი იყო, ბანკები, სამშენებლო ინდუსტრია და ეკონომიკის სხვა დარგები. „ესპანეთის კერძო სექტორმა, ევროს შემოღების შემდეგ პერიოდში და უკონტროლო ლიბერალიზაციის კვალობაზე ისესხა საერთაშორისო ბაზარზე მილიარდობით ევრო და დოლარი და დააბანდა ამა თუ იმ დარგში. ესპანეთსა და იტალიაში 2008 წლამდე ადგილი ჰქონდა გასაოცარ დიდ საგარეო დავალიანების ზრდას, რაშიც ლომის წილი ამ ქვეყნების კერძო სექტორს

²³ ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.

²⁴ ვ. სამსონიძე "ფინანსური ქსენოფობია" ევროპაში“ ჟურნალი- აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ, 2011. N1(133). - გვ.27-29.

ეკუთვნის. ამ სესხებთან ქვეყნების მთავრობას საერთო არაფერი ჰქონდა. ეს საგარეო სესხი აღებულ იქნა ძირითადად კერძო სექტორის მიერ ევროზონაში შესვლისას, რადგან ევროს შემოღებით კერძო ბიზნესს მიეცა გასაქანი და შესაძლებლობა რესურსი იაფად და დიდი ოდენობით მოეზიდა საერთაშორისო ბაზრებიდან. ამ შესაძლებლობით პირველ რიგში ისარგებლეს კომერციულმა ბანკებმა - ისესხეს მილიარდობით რესურსი და ამ ნაბიჯით გასაოცარ სიდიდეზე აიყვანეს ამა თუ იმ ქვეყნის ჯამური საგარეო ვალი საერთაშორისო ბაზრის მიმართ. საბოლოო ჯამში, კრიზისის პირობებში, გაიზარდა რა ამ სესხების არდაფარვის მაჩვენებელი, ეს ქვეყნები ღრმა ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდნენ და გაუჭირდათ ადრე აღებული სესხების დაფარვა, ასევე მკვეთრად გაიზარდა საპროცენტო ხარჯი ამ სესხების მომსახურებასა და ახლით მათი გადაფარვის დროს.²⁵

ისესხეს რა მილიარდობით რესურსი, ესპანეთმა, იტალიამ და ნაწილობრივ საფრანგეთმა მნიშვნელოვნად გაზარდეს თავისი იმპორტი და ამით გააღრმავეს სავაჭრო დეფიციტი. „ეს სხვაობა იფარებოდა საგარეო ვალებით, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიების მიერ. ამ სიტუაციაში ყველაზე მომგებიან ვითარებაში გერმანია აღმოჩნდა, როგორც ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა და 1999 წლიდან მოყოლებული გერმანიამ დიდი ოდენობით გაზარდა თავისი ექსპორტი ყველა მიმართულებით, მათ შორის სამხრეთ ევროპის ქვეყნებში. გერმანულ ექსპორტს, რომლის არეალი ევროპით არ შემოიფარგლებოდა (მანქანა - დანადგარებს, პროდუქტი თუ სხვა) ყიდულობდა ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი და ნაწილობრივ საფრანგეთი სესხით ანუ საერთაშორისო ბაზარზე ნასესხები რესურსით. ამის ფონზე გერმანიას შეექმნა დიდი ოდენობით ფულის სიჭარბე, რომლის გასესხებას ის წარმატებით ახორციელებდა ამ და სხვა ქვეყნებში.“²⁶

ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში (1999 – 2007 წწ) საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში არა მარტა ჯამური საგარეო ვალი გაიზარდა, არამედ

²⁵ იგივე

²⁶ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

გაზრდილ იქნა ხელფასებიც. „ყურადსაღებია, რომ გერმანელების საშუალო სახელფასო მაჩვენებელი ამ პერიოდში არ შეცვლილა. შედეგად, კრიზისამდელმა ეიფორიამ და იაფმა ფულმა შექმნა კეთილდღეობის ილუზია ევროპის მთელ რიგ ეკონომიკურად შედარებით სუსტ ქვეყნებში და ესპანეთის, საბერძნეთის, იტალიისა და საფრანგეთის საშუალო სახელფასო მაჩვენებელი მიუახლოვდა და რიგ შემთხვევაში გაუტოლდა გერმანულს. კრიზისის პირობებში იტალიისა და ესპანეთის მუშა-ხელი კი განსაკუთრებულ მძიმე დღეში აღმოჩნდა. მკვეთრად იმატა უმუშევრობამ და სოციალურმა უთანასწორობამ. ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ კრიზისმა ნათლად აჩვენა ამ ქვეყნების ეკონომიკების კონკურენტუნარიობა, რაც მძიმედ აისახა მათი მოსახლეობის ანაზღაურებასა და სოციალური დაცვის მექანიზმებზე. ფაქტიურად კრიზისის პირობებში იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი და რიგი სხვა ქვეყანა ვერ სესხულობდა იაფ რესურსს, რომელიც საკმაოდ გაძვირდა. მეორეს მხრივ კი მათი წარმოება კონკურენტუნარო აღმოჩნდა გერმანულთან შედარებით.“²⁷ ეს კარგად ჩანს ესპანეთის 2012 წლის სტატისტიკურ მაჩვენებლებში:

- „ესპანეთს ევროზონაში სიდიდით მეოთხე ეკონომიკა ჰქონდა;
- 2012 წელს შრომისუნარიანი მოსახლეობის 25% (ანუ ყოველი მეოთხე) უმუშევარი აღმოჩნდა (ევროპის მასშტაბით ეს ციფრი 10 – 11 პროცენტი იყო). შედარებისთვის - 2006 წელს უმუშევრობა ესპანეთში 8,5% შეადგენდა და ევროპის საშუალო მაჩვენებელს უტოლდებოდა;
- უძრავი ქონების ფასმა 25% იკლო 2008 წლიდან მოყოლებული;
- საბანკო სისტემა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და გადაიტვირთა ვალებით. 2012 წლის ბოლოს ჩატარებული შეფასებით, რაც დამოუკიდებელმა ევროპულმა კომისიამ შეადგინა ესპანეთის ბანკების მიერ გაცემული სესხიდან 155,84 მილიარდი ევროს ოდენობა იყო უიმედო სესხი და ვერ დაიფარებოდა. ეს კი საერთო სასესხო პორთფელის 9% ტოლფასი იყო. ამ პერიოდში (2012 წლის მდგომარეობით) ესპანური ბანკების რაოდენობა 45 დან 11 მდე შემცირდა. ესპანეთის მთავრობამ 60 მილიარდი ევრო მიმართა საბანკო სექტორის

²⁷ ვ. სამსონიძე "ფინანსური ქსენოფობია" ევროპაში“ ჟურნალი- აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ, 2011. N1(133). - გვ.27-29.

გადასარჩენად. 100 მილიარდი ევრო ევროზონის ცენტრალური ბანკიდან იქნა გამოყოფილი. მხოლოდ ესპანეთის სიდიდით მეოთხე ბანკმა - ბანკიამ 2012 წელს ითხოვა მთავრობის დახმარება 19 მლრდ ევროს ოდენობით; ²⁸

კრიზისის ყველაზე მწვავე ფაზის დროს მსგავსი ვითარება სუფევდა ევროზონის სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად უმძიმესი მდგომარეობა იყო კვიპროსში. „საერთაშორისო დონორები 13 მილიარდი დოლარის დახმარების სანაცვლოდ კვიპროსისგან საბანკო ანგარიშების დაბეგვრას მოითხოვდნენ. ამ წინადადების უარყოფას შესაძლოა დეფოლტი და კვიპროსის გამოსვლა გამოეწვია ევროზონიდან. 10 საათიანი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმება იქნა მიღწეული: ევროზონის ფინანსთა მინისტრები და საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეთანხმდნენ და კვიპროსს 13 მილიარდი დოლარის ოდენობის მასტიმულირებელი პაკეტი გამოუყვეს, რომელმაც იგი გაკოტრება გადაარჩინა. კვიპროსში ეკონომიკური მდგომარეობა საბერძნეთში დაწყებული კრიზისის შემდეგ გართულდა. კვიპროზის ბანკებმა 2011 წელს უზარმაზარი ზარალი განიცადეს და ევროზონას 22-მილიარდიანი დახმარების პაკეტისთვის მიმართეს.“²⁹

²⁸ ვ. სამსონიძე "ფინანსური ქსენოფობია" ევროპაში“ ჟურნალი- აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ, 2011. N1(133). - გვ.27-29.

²⁹ იგივე

თავი III

მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო

3.1. მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემები

„2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი იყო ყველაზე მძიმე კრიზისი მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში 1929-33 წლების დიდი დეპრესიის შემდეგ. მსოფლიოს ბევრი ცნობილი ფინანსური ინსტიტუტი აღმოჩნდა კრიზისის მსხვერპლი (ზოგი გაკოტრდა, ზოგი გადარჩა მხოლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფო დახმარების შემდეგ, ზოგიც ნაციონალიზებულ იქნა), ხოლო არაერთი მნიშვნელოვანი ფინანსური ცენტრი დაზარალდა ისე, როგორც არასდროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში. კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ს უძრავი ქონების ბაზარზე ე.წ. სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან, რომელიც 2007 წლის ზაფხულის შემდეგ გავრცელდა რიგ სხვა ეკონომიკაზე, სუბსტანდარტულ აქტივებზე პირდაპირი დამოკიდებულების, აქტივების გარკვეული კლასების მიმართ ნდობის დაკარგვისა და ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდობის ამოწურვის გამო რასაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში ადგილობრივი ფინანსური დისბალანსის არსებობამ.“³⁰

ექსპერტების აზრით დღეს მსოფლიოში არა ეკონომიკური არამედ ფინანსურად მართული კრიზისია, რომელიც გამოწვეულია ხელოვნურად. „ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, თომას ჯეფერსონი წერდა: „თუ ამერიკელი ხალხი ოდესმე დაუთმობს ბანკებს საკუთარი ვალუტის ემისიის უფლებას, მაშინ ჯერ ინფლაციით, შემდეგ კი დეფლაციით ბანკები და კორპორაციები ხალხს გაადატაკებენ. მე გულწრფელად მჯერა, რომ საბანკო ინსტიტუტები უფრო საშიშები

³⁰ ნ.თაგოშვილი. „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო.“ ჟურნალი-ეკონომისტი. თბ. 2011. #4. გვ. 71-75.

არიან თავისუფლებისათვის, ვიდრე რეგულარული არმიები“. სახელმწიფო ხშირად უძლურია მოაწესრიგოს ფინანსური ან რომელიმე სახელმწიფოებრივი კრიზისი, რომელსაც იწვევენ ფინანსური ოლიგარქები, რადგან სახელმწიფო მმართველობის სადავეები მათ ხელშია.³¹

ამ ფონზე როგორ გამოიყურება საქართველო?

„XX საუკუნის 80-იან წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, პარტიულ ემელონებში არნახულმა კორუფციამ, პარტიული და სამეურნეო მუშაკების მხრიდან სახელმწიფო ქონების ძარცვამ, დააცარიელა სახელმწიფო ხაზინა და სსრკ დაიშალა. რესპუბლიკის ხელისუფლებაში თავი მოიყარეს სახელმწიფოებრივი მართვის უცოდინარმა პირებმა, რომელთაც ეკონომიკური მართვის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ, ქვეყანაში მძვინვარებდა ეკონომიკური კრიზისი, საჭირო იყო ეკონომიკური პოლიტიკის სასწრაფოდ შცვლა, ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ქმედითი ღონისძიების გატარება, ეკონომიკის გონივრული მართვა. 1992 წლიდან ეკონომიკური კრიზისი არათუ შეჩერდა, არამედ ზედ დაერთო პოლიტიკური კრიზისიც, რასაც ქვეყნის უმოწყალოდ ძარცვა მოყვა, როგორც ფინანსურად, ისე მატერიალურად, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მხრიდან. შემოდებული ფულადი ერთეული ლარის სახით, წინასწარ იყო განწირული მსოფლიო ბაზარზე რაიმე ღირსეული ადგილის დასაკავებლად, რადგანაც ლარი როგორც ფულადი ერთეული ორიენტირებული იყო არა წარმოებულ პროდუქციაზე, არამედ დოლარზე.“³² სსრკ-ს დაშლის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მმართველმა ძალამ არა მარტო ვერ შეძლო კრიზისის შეჩერება, არამედ ქართული სახელმწიფო დაშლის წინაშე დააყენა. საქართველოს ჩამოშორდა აფხაზეთი და

³¹ ლ. არევამე, თ. წიკლაური „მსოფლიო ფინანსური კრიზისი, მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და კრიზისის დაძლევის პერსპექტივები“ ჟურნალი- ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ, 2010. ტ I. გვ.7-11.

³² გ. ბერიტაშვილი „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“. ჟურნალი-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.თბ, 2010. ტ I. -გვ.15-18.

ცხინვალის რეგიონი. „რა უნდა გაკეთებულიყო კრიზისის შსაჩერებლად, რაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ დასავლეთმა და მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გათვალა?“

1. ეკონომიკის მართვის ძირითადი ბერკეტები სახელმწიფოს უნდა აეღო ხელში.
2. ის ეკონომიკური კავშრები, რომელიც იყო ჩამოყალიბებული, წლების განმავლობაში რესპუბლიკებს შორის, არ უდნა დარღვეულიყო.
3. ეკონომიკის გაჯანსაღებამდე არ უნდა გამოსულიყვნენ ერთანი სამანეთო ზონიდან.
4. ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო საამისოდ, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოს აეღო პასუხისმგებლობა იმ საკუთრებასა და ვალებზე, რომლებიც მიეკუთვნებოდა საქართველოს.
5. ქვეყანაში უნდა დამყარებულიყო მკაცრი დისციპლინა სახელმწიფო ქონების დასაცავად.
6. უნდა მომხდარიყო საერთო სახელმწიფოებრივი ქონების აღწერა.
7. უნდა გამოცხადებულიყო გარდამავალი პერიოდი, რადგან მსოფლიო პრაქტიკაში არ გვქონდა ანალოგი სოციალისტური წარმოების ურთიერთობიდან კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობაზე გადასვლით.
8. გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის რეგულირება უდნა მოეხდინა სახელმწიფოს. მას ასევე უნდა შეესრულებინა საბაზრო ურთიერთობათა სისტემის შემქმნელი ფაქტორის როლი.
9. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს უდნა უზრუნველყო ისეთი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით შეძენილი, უარყოფითი მხარეებისგან იქნებოდა გარკვეულწილად დაზღვეული.“³³

დღევანდელ ეროვნულ კაპიტალს გამდიდრებული უმცირესობა ფლობს, რომელიც წარმოიშვა არა წარმოების პროცესში, არამედ სახელმწიფო ქონების

³³გ. ბერიტაშვილი „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“. ჟურნალი-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.თბ, 2010. ტ I. -გვ.15-18

ნომენკლატურული პრივატიზაციით. ამიტომაც, რომ წარმოების პროცესში რეალურად არ მონაწილეობს. „ფაბრიკა-ქარხნები და სხვა საწარმოო ობიექტები შეიწყიდეს ყოფილმა დირექტორებმა და ა.შ. ამასთან, ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი, გაიძარცვა და ძირითადი საწარმოო აქტივები უმოქმედო დარჩა. სახელმწიფომ როგორც მესაკუთრემ, თავისი პასიურობით ეკონომიკის გაჩანაგებას უფრო შეუწყო ხელი, ვიდრე სტაბილიზაციას. საზოგადოების წევრთა ინტერესებსი რეალიზაცია ხასიათდება ღრმა ქონებრივი დეფერენციაციით, რამაც წარმოშვა დაპირისპირება ქვეყნის გაჩანაგების ფონზე მოსახლეობის გამდიდრებულ უმცირესობასა და გადატაკებულ უმრავლესობას შორის. ეს პოლიტიკური პრობლემა შეიძლება გადაწყდეს ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩმოყალიბებით, თუ არ იქნება ეფექტიანი ეკონომიკა, სოციალური პრობლემებიც არათუ არ გადაწყდება, არამედ ქვეყანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ევრ შეინარჩუნებს.“³⁴

გასული საუკუნის მიწურულს, საბჭოთა კავშირის დაშლის კვალობაზე, საქართველოში ხელახლა დაიწყო კაპიტალის ე.წ. თავდაპირველი დაგროვების პროცესები, რომლებიც დღესაც გრძელდება. „საქართველოში, თავისი განვითარების ამ, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, ეტაპზე კაპიტალის დაგროვების ძირითად საშუალებად იქცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განსაკუთრებით იმატა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოდინებამ. მაგრამ ერთია თვით კაპიტალის მოდინება და მეორე – ის, თუ სად მოხდება მისი განთავსება. უსამართლობა იქნება, თუ ვუარყოფთ, რომ შემოდინებული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკის „რეალურ სექტორშიც“ იქნა განთავსებული, მაგალითად – დამამუშავებელ მრეწველობაში; მაგრამ სამწუხაროდ, მათი ასევე სერიოზული ნაწილის ადრესატი არ ყოფილა ეკონომიკის ის სფეროები, რომლებშიც ახალი მწარმოებლური კაპიტალიზირებულება შეიძლებოდა შექმნილიყო. ამიტომ, საბოლოო ანგარიშით, ქვეყანაში იმაზე საგრძნობლად მეტი ფინანსური რესურსი შემოვიდა, ვიდრე მისი ათვისება მოხდა „რეალური“ თვალსაზრისით. შეუსაბამოდ

³⁴ ნ.თაგოშვილი. „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო.“ ჟურნალი-ეკონომისტი. თბ. 2011. #4. გვ. 71-75.

დიდი ნაწილი მოზიდული ფინანსებისა დაბანდა უძრავი ქონების სექტორში (12,5% – 2011 წ.), ასევე ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (13,3%), ენერგეტიკაში (16,1%) და სხვ. მაშინ როცა ჩვენთვის ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორც სოფლის მეურნეობა, 2011 წელს შემოვიდა სულ რაღაც 1,4% პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთელი მოცულობისა. ჩვენ, რასაკვირველია, ტრანსპორტიც გვჭირდება, კავშირგაბმულობაც და ენერგეტიკაც, მაგრამ უპირველეს ყოვლისა გვჭირდება იმ სფეროების განვითარება, რომლებშიც რეალური მატერიალური ღირებულება შეიქმნება. ამის საპირისპიროდ, საქართველოში შეიქმნა ე.წ. „ფინანსური ბუშტი“, უფრო სწორად კი შემოვიდა ფინანსები, რომლებიც შემდგომ აქ იქცევა „ბუშტად“, რაკილა ადგილი ქონდა მის დაუბალანსებლობას „რეალური სექტორის“ განუვითარებლობით.“³⁵

არის მეორე უარყოფითი მომენტიც. „შემოსული უცხოური ინვესტიციებიდან საკმაოდ დიდი ნაწილის განთავსება ხდებოდა ფინანსურ სექტორში (18% – 2011 წ. მონაცემებით). ვითარდება საბანკო მომსახურების სფერო, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა, სხვა უარყოფით მოვლენებს რომ არ უწყობდეს იგი ხელს. კერძოდ იმას, რომ ბანკები ძირითადად ორი, არცთუ ისე მომგებიანი და, ასე ვთქვათ, არც ისე მწარმოებლური მიმართულებით გასცემენ კრედიტებს. ერთი მხრივ, ისინი აკრედიტებენ სამშენებლო ბიზნესს, ანუ სახსრებს იგივე უძრავ ქონებაზე მიმართავენ, რითაც კიდევ უფრო ბერავენ „ფინანსურ ბუშტს“, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი ახდენენ სამომხმარებლო სესხების გაცემას – ანუ ფულის იქით გასტუმრებას, საიდანაც იგი ძლივს იქნა მოზიდული. სხვა სიტყვებით, სამომხმარებლო სესხები მოსახლეობის მიერ გამოიყენება ძირითადად იმ პროდუქციის შესაძენად, რომლებიც ასევე უცხოეთიდან არის შემოსული. და გამოდის, რომ ბანკების მიერ შემოტანილი უცხოური სახსრები, რომლებსაც ისინი სამომხმარებლო კრედიტების სახით გასცემენ, ისევ უცხოეთში მიედინება, ვინაიდან მათი უშუალო მომხმარებლები

³⁵ თ. იობაშვილი. „რომელ ქვეყნებს შეეხო ახალი ფინანსური კრიზისი : რა გავლენას იქონიებს ფინანსური კრიზისი საქართველოზე“. ჟურნალი- აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ, 2011. N9(141). - გვ.32-34.

იმპორტულ პროდუქციას იძენენ. „რეალურ სექტორს“ ამით კვლავ არაფერი შეეხება.“³⁶

გლობალური ფინანსური კრიზისის „იმპორტი“ სწორედ ჩვენმა ბანკებმა მოახდინეს საქართველოში; „საბანკო კრიზისი კი ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი ფენომენია კრიზისების მთელ „კატალოგში“. და ჩვენ ამ დამანგრეველ შედეგებს აუცილებლად ვნახავდით, ის ზემოთხსენებული „დამატებითი სახსრები“ რომ არ გამოჩენილიყო უეცრად, რაც 2008 წლის ომის მოვლენებს მოჰყვა. ამ სახსრების გამოჩენა მართლაც უეცრი სიახლე იყო, რადგან იგი დაკავშირებული იყო მარტოდენ დონორი ქვეყნების მიერ სრულიად შემთხვევით გამოჩენილ კეთილ ნებასთან, დახმარებოდნენ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულ ქართულ ეკონომიკას. მაშასადამე, რომ არა ომი, საქართველოში უზარმაზარი მოცულობის ფინანსები (4,5 მილიარდი აშშ დოლარი, რომელიც საქართველოს დონორმა ქვეყნებმა გამოუყვეს ბრიუსელის კონფერენციაზე. აქედან 2 მლრდ სესხია) დახმარების სახით არ შემოვიდოდა და საბანკო პანიკა გარდაუვალი გახდებოდა. ამ მოულოდნელობამ, წესით, კარგად უნდა დაგვანახოს მდგომარეობის რეალური სურათის მთელი სიმძიმე, რაკი ასეთი შემთხვევითი უბედურების ბედნიერ უკუჩვენებაზე გავხდით მთლიანად დამოკიდებული.“³⁷

ძირითადი ეკონომიკური პრობლემები ქვეყანას უფრო აგვისტოს საომარი მოქმედებებისგან შეექმნა ვიდრე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისგან. „2004 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 499 მილიონი დოლარი; 2005 წელს - 450 მილიონი დოლარი (გარკვეული კლება წინა წელთან შედარებით გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრებით); 2006 წელს – 1190 მლნ დოლარი; 2007 წელს – 2014 მლნ დოლარი. 2008 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1 564 მილიონი დოლარი შეადგინა, ანუ წინა წელთან შედარებით 600 მლნ-თ ნაკლები, რაც

³⁶ გ. ბერიტაშვილი „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“. ჟურნალი-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.თბ, 2010. ტ I. -გვ.15-18

³⁷ ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები)“. მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.

გამოწვეული იყო აგვისტოს საომარი მოქმედებებით. 2009 და 2010 წლებს შემოსული ინვესტიციებს ოდენობამ საგრძნობლად მოიკლო და შესაბამისად 658 მლნ - 500 მლნ დოლარი შეადგინა. ეს გამომდინარე იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან, ვინაიდან უცხოური ინვესტიციები მთელს მსოფლიოში 30%-მდე შემცირდა.³⁸

დღეს საქართველო იმყოფება რთული ეკონომიკური გამოწვევების წინაშე, „მსოფლიოში ფასის ზრდის ტენდენციაა, საქართველოშიც მნიშვნელოვნად იზრდება. რაც ყველაზე სავალალოა მედიკამენტებიც გაძვირდა კატასტროფულად, ეს არის პროტექციონისტული მონოპოლიების ბრალი, როდესაც სამედიცინო ბაზარი ჩაკეტილი ციკლია დაწყებული სამედიცინო პრეპარატების წარმოებიდან, რეალიზაციის, სამედიცინო მომსახურების ქსელის და სადაზღვეო კომპანიების ჩათვლით, ამიტომ პირველ რიგში გარკვეული სექტორების მუდმივი დემონოპოლიზაციაა საჭირო, რათა ფასები დარეგულირდეს. დღესდღეობით ქვეყანა თითქმის მთლიანად დამოკიდებულია იმპორტზე საუბარიასასურსათო პროდუქციაზე, ამიტომ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია მთელ რიგ სტრუქტურულ რეფორმებზე: კრედიტების გაცემა, თესლის და წარმოების საშუალებების შესაძენად... წარმოების, მიწოდებისა და გასაღების ორგანიზაციების შექმნა, შენახვის პირობების გაუმჯობესება, პროდუქციის რეალიზაციისათვის (მარკეტინგი) ხელშეწყობა. სწორედ ეს არის მიმართულება, სადაც უნდა იქნეს გამოყენებული კრეატიული, მაღალ-ტექნოლოგიური და სხვა განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული მეთოდები, ამ მხრივ კარგი მაგალითია თურქეთი და ისრაელი. სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი რათქმა უნდა ინვესტორებისათვის ნაკლებად მიმზიდველია, იმიტომ რომ მათთვის მაღალ მომგებიანი, მხოლოდ კომუნიკაციები და ენერგოსფეროა, მაგრამ ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი მხარდაჭერა ამ დარგისათვის, რომ ყველა ფერმერს, გლეხს, გაუჩნდეს ამ სფეროში ჩართვის სურვილი. მაგალითად ისეთი ქვეყნები, როგორც არის ბელგია, ნორვეგია, ავსტრია, კანადა, აშშ ხშირ

³⁸ ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.

შემთხვევაში ბიუჯეტიდან პირდაპირ აფინანსებენ სოფლის მეურნეობას თან საკმაოდ დიდი დოზით.³⁹

მიუხედავად საქართველოს ეროვნულ ვალუტის სეზონური რყევებისა, საქართველოს ეროვნული ბანკი მაინც ახერხებს მის რეგულირებას. „ქვეყნის ეროვნულ ბანკს გააჩნია ის რეზერვები, რომელიც აუცილებელია ქართული ვალუტის მდგრადობის შესანარჩუნებლად. ეკონომიკური კრიზისი გარკვეულად ბიძგს აძლევს სახელმწიფოს მიერ ახალი საბიუჯეტო სტიმულების განხორციელებას, რაც გამოიხატება ინოვაციური პროცესების ხელშესწვობასა და რეალიზებაში. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური კრიზისის პოზიტიური ბუნებაც, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების აუცილებელ და სრულ დემოკრატიზაციას, პროგრესისაკენ სვლას, ეკონომიკის მართვის ახალი ტექნოლოგიების ძიებას, ეკონომიკური სუბიექტებისათვის შესაფერისი ადგილის მიჩენას, რასაც თავისუფალი ფასწარმოქმნა და თავისუფალი კონკურენცია განსაზღვრავს. ხელს შეუწყობს ზოგიერთ დარგში არსებულ მონოპოლიზირებული მდგომარეობის დემონოპოლიზაციას. ეს კრიზისები გამოავლენენ, ერთ მხრივ - ეკონომიკური სისტემის სუსტ ადგილებს, მანკიერებებს, იმას რაც ხელს უშლის ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას. მეორე მხრივ - ისინი „გამოაფხიზლებენ“ სისტემის მთვლემარე ჯანსაღ ძალებს, კარს უღებენ მოქმედებისათვის შინაგან სოციალურ ენერგიას... ეკონომიკური კრიზისი ხდება განახლების, მომავალი წინსვლის პირობა“⁴⁰.

საქართველოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ანტიკრიზისული პროგრამა, როგორც პრევენცია, მოსალოდნელი კრიზისებისა და, აქედან გამომდინარე, მისი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. „ანტიკრიზისულ პროგრამაში მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ეროვნული წარმოების განვითარებას და იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებას ადგილობრივი საქონლით.

³⁹ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.

⁴⁰ ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნევროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.

აუცილებელია შემუშავებული იქნას ისეთი ფულად - საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მინიმალური საბანკო საპროცენტო ტარიფების არსებობას, რათა სტიმული მიეცეს ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. დღევანდელი საბანკო საპროცენტო განაკვეთები თითქმის 8-10-ჯერ აღემატება მოწინავე ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. საჭიროა შემუშავდეს ისეთი ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, პროგრამა, ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც გაითვალისწინებს, როგორც არსებულ რეალობებს, ისე მოსალოდნელ ეკონომიკურ პროცესებს, როგორც რეგიონალურ ჭრილში, ასევე მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში.⁴¹

საქართველოს უნდა გააჩნდეს ანტიკრიზისული მართვის შემუშავებული მოდელი, რომლის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება, ხოლო მისი არსებობისას რაც შეიძლება სწრაფად და მცირე სოციალური დანაკარგებით დაძლევა. „იგი ყოველთვის სტრუქტურული, ინვესტიციური, ინოვაციური, მენეჯმენტის ღონისძიებებთან ინტეგრალურად უნდა ხორციელდებოდეს. ანტიკრიზისული მართვა უნდა გულისხმობდეს: ეკონომიკური კრიზისების ტიპოლოგიას, მიზეზების დადგენას, თვითონ სახელმწიფო მართვის კრიზისის დაძლევას, საწარმოთა რესტრუქტურისაციას, ინოვაციური და ინვესტიციური პოლიტიკის გატარებას, პერსონალის ანტიკრიზისულ მართვას. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს, ეკონომიკის მართვის ძირეული ტრანსფორმაცია.“⁴²

⁴¹ ლ. არევამე, თ. წიკლაური „მსოფლიო ფინანსური კრიზისი, მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და კრიზისის დაძლევის პერსპექტივები“ ჟურნალი- ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ, 2010. ტ I. გვ.7-11.

⁴² იგივე

1.3. კრიპტოვალუტა, როგორც მსოფლიო ფინანსური კრიზისის პროვოცირების კიდევ ერთი მიზეზი

რამოდენიმე წლის უკან კემბრიჯის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გაჩნდა წარწერა: „ადამიანების რაოდენობამ, რომლებიც სარგებლობენ კრიპტოვალუტებით, უახლოვდება პატარა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას და ეს მხოლოდ დასაწყისია, სამყარო იცვლება,“ ხოლო მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი ბილ გეიტსი წერს: „კრიპტოვალუტას შეუძლია საგრძნობლად გააადვილოს ფულის ტრანსნაციონალური მოძრაობა და მნიშვნელოვნად შეამციროს ფულის მასა.“ 2017 წელს ARK Invest-ისთვის ჩაწერილ ინტერვიუში ილონ მასკმა განაცხადა, რომ ქაღალდის ფული ნელ-ნელა ქრება-"კრიპტოვალუტა ფასეულობების გადასაცემად ბევრად უფრო უკეთესი გზაა, ვიდრე დაჭრილი ქაღალდი.“

დეცენტრალიზებული ფულის იდეის ავტორი გახლავთ თავისუფალი ბაზრის აპოლოგეტი, ნობელიანტმა ეკონომისტი (1974)-**ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი**. 1976 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი: „ფულის დენაციონალიზაცია“ (Denationalization of Money: An Analysis of the Theory and Practice of Concurrent Currencies). ჰაიეკის აზრი ის იყო, რომ სახელმწიფო მონოპოლია ფულის ემისიაზე უნდა გაუქმებულიყო და ფულის, როგორც ჩვეულებრივი კომერციული პროდუქტის წარმოება უნდა მომხდარიყო საბაზრო წესით. ჰაიეკის ამ ნაშრომმა შეამზადა იდეურად ვალუტის სუროგატის – ბიტკოინის ემიტირება კომპიუტერული ალგორითმების გზით. კრიპტოვალუტის ემისია და აღრიცხვა ემყარება კრიპტოგრაფიულ მეთოდებს. ეს ციფრული ვალუტა არაფრით არაა დაკავშირებული არც მწარმოებლურ ეკონომიკასთან, არც საბანკო კაპიტალთან. კრიპტოგრაფია არის კონფიდენციალობის დაცვის სამეცნიერო დისციპლინა. კრიპტოგრაფია გამოიყენება ელექტრონული ფულის შექმნისა და შენახვისათვის, ამიტომ მოიხმარენ ტერმინ „კრიპტოვალუტას“. არსებობს კრიპტოლოგიური გამოკვლევების საერთაშორისო ასოციაცია (International Association for Cryptologic Research), რომლის საიტია: <http://www.iacr.org> .მას აქვს თავისი ჟურნალი Journal of Cryptology

(www.iacr.org/jofc/). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ელექტრონულ ვალუტას აქვს პერსპექტივა და ამის შესწავლას ეძღვნება მრავალი შეხვედრა, რაც ამ ასოციაციის საიტზეა ნაუწყები.

მაინც რა არის კრიპტოვალუტა? ტერმინი, რომელიც XXI საუკუნის პირმშოა. ეს რომ მარტივად ავხსნათ უნდა ვნახოთ რას არ წარმოადგენს ის სინამდვილეში. კრიპტოვალუტა არ არის ის რაც აქამდე გვეჩინია, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფინანსების და მისი კონტროლის სახით, კრიპტოვალუტა არ არის არც საკრედიტო ბარათი, არც ოქროს ზოდები და არც ნაღდი ფული. მის უკან არ დგას რომელიმე ქვეყნის ცენტრალური ბანკი, მთავრობა ან ფინანსური ინსტიტუცია. კრიპტოვალუტა არის დეცენტრალიზირებული ფენომენი. ეს რეალურად არ არსებული ფულია, რომელიც ბევრ ადამიანს გამდიდრების იოლ საშუალებად ესახება.

მიუხედავად ამისა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის არ ემორჩილება რაიმე სახის წესებს. ეს არის წესები, რომლებიც ტრადიციული საფინანსო ინსტიტუციების მიღმა კომპიუტერულ ქსელებში არსებობს. 2009 წელს ბითქოინმა წარმოგვიდგინა ტექნოლოგია, რომელიც ბლოკჩეინის სახელითაა ცნობილი. ის წარმოადგენს უდიდესი მასშტაბის რეესტრს, რომელშიც ქსელში მომხდარი ტრანზაქციები აღირიცხება. მილიონობით მომხმარებელი, იგივე მაინერი ამ ტრანზაქციებს ადასტურებს. ამ ოპერაციით ეს მაინერები ახალ ბიტკოინს გამოიმუშავენ, რომელიც მათ ანაზღაურებად ითვლება. ბლოკჩეინი არის სისტემა, სადაც მომხმარებელს არ ესაჭიროება ნებრთვა ისარგებლოს ამ სისტემით ან გახდეს მაინერი. ეს არის სისტემა, რომელსაც კონკრეტული ინსტიტუცია არ აკონტროლებს. კრიპტოვალუტების შემთხვევაში ფულის მიწოდების კონტროლი ხდება ალგორითმის მეშვეობით, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული და რომლის მეშვეობითაც წინასწარ ცნობილია რამდენი ფულის გამოშვება მოხდება და რა ვადაში.

ვინ არის სატოში ნაკამოტო? ამ კითხვაზე პასუხს ბიტკოინის შექმნის დღიდან ეძებს მსოფლიო. ანონიმმა პროგრამისტმა სწორედ ამ სახელით შექმნა და ქსელში გაუშვა ბიტკოინის პროტოკოლი 2008 წლის ნოემბერში, თუმცა დღემდე არავინ იცის, როგორ გამოიყურება ის. ორი წლის განმავლობაში ნაკამოტო პერიოდულად

უზიარებდა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას ბიტკოინ-საზოგადოებას სპეციალური მეილ-ლისტის მეშვეობით, თუმცა 2010 წლიდან მისი კვალი საერთოდ გაქრა.

რატომ ამჯობინებენ ადამიანები კრიპტოვალუტას საკრედიტო ბარათებს ან ნაღდ ფულს? ბევრი ადამიანი კეთილგანწყობილია ისეთი საფინანსო სისტემების მიმართ, რომელიც არ კონტროლდება მთავრობების მიერ და ფუნქციონირებს საბანკო სისტემების მიღმა. ბევრნი კრიპტოვალუტას უდიდეს საინვესტიციო შესაძლებლობად მიიჩნევენ, თუ თქვენ შეძლებთ კრიპტოვალუტის რაოდენობის გაზრდას, ან ივარებთ კრიპტოვალუტით სწორად, თავისუფლად შეგიძლიათ გაზარდოთ თქვენი კაპიტალი.

კრიპტოვალუტით ანგარიშსწორების შემთხვევაში არ არის საჭირო სისტემაში პერსონალური მონაცემების დაფიქსირება, ისე როგორც ეს ხდება ნაღდი ფულის გადარიცხვების დროს. როდესაც თქვენ ყიდულობთ რაიმეს კრიპტოვალუტით თქვენ შეგიძლიათ განახორციელოთ ტრანზაქცია ონლაინ ანონიმურად. ეს შეიძლება უამრავ მიზეზთა გამო იყოს მიმზიდველი. 2015 წლის თებერვლიდან ბითქოინი მსოფლიო მასშტაბით 100 000-ზეტ სავაჭრო დაწესებულებას გადახდის საშუალებად ქონდა მიღებული.

მაგრამ სრულყოფილი არაფერის. ბლოკჩეინის მომხმარებლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია. მაგალითად 2013 წელს აშშ-ს ფედერალურმა ბიურომ აღკვეთა საერთაშორისო დონის არალეგალური ბიზნესი, რომელიც „აბრეშუმის გზის“ სახელით იყო ცნობილი. გარდა ამისა 2011 წელს ანტივირუსულმა კომპანიებმა აღნიშნეს, რომ ჰაკერები მაინც შეეცდებოდნენ ბიტკოინის ბირჟების გატეხვას და კრიპტოვალუტის მოპარვას. კასპერსკის ლაბორატორიამ 2011 წლის ივნისში აღმოაჩინა ბიტკოინების მოსაპარი ვირუსული პროგრამა. მაინინგ-ტროიანები (ვირუსული პროგრამები) სხვა ქვეყნების ქსელებშიც იქნა აღმოჩენილი. 2007 წელს ცნობილი გახდა, რომ მოხდა ბიტკოინის უდიდესი იაპონური ელექტრონული ბირჟის Mt.Gox-ის ბანკროტირება. ინტერნეტში გავრცელებული ცნობების მიხედვით, ჰაკერებმა მოიპარეს 400 მლნ. დოლარზე მეტი. ამა წლის თებერვალში ამ ცნობილმა ბირჟამ მთლიანად შეაჩერა ვაჭრობა.

ბიტკოინის მიმართ ყურადღება დღითიდღე იზრდება. განვითარებულ სახელმწიფოთა მთავრობები აძლიერებენ კოორდინირებულ მუშაობას, რათა ახალი ტექნოლოგია და სავალუტო სისტემა რეგულაციებში მოახდინონ. რეალურად ჩვენს თვალწინ ახალი ფინანსური და ტექნოლოგიური რევოლუცია ხდება. ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა ესაა ფენომენი რომელსაც ახალ ეპოქაში შევყავართ. ბიტკოინი არის რისკიანი პროდუქტი, რომლის უკანაც მომავლის ტექნოლოგია დგას. „ბიტკოინი პირველი დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტაა, რომელიც 2008 წელს შეიქმნა. ის წარმოიქმნება, ინახება და იხარჯება ელექტრონულად. ბიტკოინის შექმნა შეიძლება ელექტრონულად სხვა ვალუტების (ევროს, დოლარის, იენის და ა.შ.) სანაცვლოდ. ამისთვის საჭიროა არა ერთი არსებული პლატფორმიდან რომელიმეზე, მაგალითად, Coinbase-ზე ბიტკოინის საფულის გახსნა, რომლის მართვა შესაძლებელია სმარტფონით, პერსონალური კომპიუტერით, პლანშეტით და ა.შ. თუკი, მაგალითად, ბანკის ან ინტერნეტ-ბანკის მეშვეობით კონკრეტული თანხის გადარიცხვა გულისხმობს არც თუ უმნიშვნელო საკომისიოს გადახდას, იმავე თანხის ბიტკოინით გადარიცხვის შემთხვევაში, საკომისიო ბევრად დაბალია და ამის გაკეთება შეიძლება სახლიდან გაუსვლელად, ყველანაირი შუამავლის გარეშე, ნებისმიერ ქვეყანაში, ძალიან სწრაფად და დაცულად. ტრანზაქციის დადასტურებას მინიმუმ რამდენიმე წამი და მაქსიმუმ 90 წუთი შეიძლება დასჭირდეს, თუმცა საშუალო მაჩვენებელი 10 წუთია.“⁴³

„კომპანია Bitfury-მა საქმიანობა 2011 წელს დაიწყო როგორც „მაინერმა“ ფირმამ, თუმცა თანდათან სრულად ინტეგრირებულ ბლოკჩეინ-ტექნოლოგიის კომპანიად გარდაიქმნა. დროთა განმავლობაში მან უზრუნველყო ისეთი მოწყობილობებისა და პროგრამული უზრუნველყოფების შექმნა, რომლებმაც განავითარეს ბლოკჩეინის სისწრაფისა და უსაფრთხოების მიმართულებით. ამჟამად კომპანიის საქმიანობა მოიცავს ბიტკოინ-ტრანზაქციების პროცესინგს, ბლოკჩეინის ანალიტიკას, უახლესი თაობის 16-ნანომეტრიანი ჩიპების წარმოებას და საკუთრების უფლების

⁴³ რა არის ბიტკოინი? Forbes.ge | ფინანსები | ივნ, 09, 2016

რეგისტრაციას ბლოკჩეინის გამოყენებით, რაშიც კომპანიას ერთ-ერთმა პირველმა მხარი საქართველომ აუბა. BitFury-ს ოფისები აქვს სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, ჰონკონგში, ლონდონსა და ამსტერდამში, თუმცა მისი დატანცენტრები საქართველოს გარდა მხოლოდ ისლანდიაშია განთავსებული. კომპანიის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი 2011 წლიდან ლატვიელი ანტრეპრენიორი ვალერი ვავილოვია. კომპანიის დირექტორთა საბჭოში თავმჯდომარის მოადგილის სტატუსით შედის საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მრჩეველთა კომიტეტის წევრი, გიორგი კიკვაძე, ხოლო თავად BitFury-ს მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტებულია სხვადასხვა ტიპის გამოცდილების მქონე პროფესიონალებით, რომელთა შორისაა პერუელი ეკონომისტი ერნანდო დესოტო.⁴⁴

პირველი ბიტკოინის ბანკომატი დააყენეს კანადაში, კერძოდ ვანკუვერში. ბიტკოინ-ბანკომატი დაიდგა ესპანეთში, აშშ-იც დაიწყო ბიტკოინმატების დადგმა. გერმანიის ფინანსთა სამინისტრომ 2013 წლის აგვისტოში ბიტკოინი საფინანსო აღრიცხვის ერთეულად მიიჩნია, რაც ნიშნავს, რომ ის ფულის სახეობად არის მიჩნეული გერმანიის მთავრობის მიერ. თბილისში ამიერკავკასიაში კრიპტოვალუტის პირველი ტერმინალები განთავსდა და შესაბამისად საქართველოს უკვე იმ ქვეყნებს შორისაა სადაც ადამიანებს მსგავსი მომსახურების შესაძლებლობა გააჩნიათ. ამ ტერმინალებით შესაძლებელია ლაიტკოინის და ბიტკოინის შეძენა, მომავალში კი დაემატება რიპლი, ეთერიუმი და ბითქოინ ქეში.

„თანაინვესტირების ფონდმა კომპანია "BitFury“-ში 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ეს ფონდის პირველი ინვესტიცია იყო რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებს უკავშირდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სან-ფრანცისკოსა და ჰოლანდიაში რეგისტრირებულმა კომპანია BitFury-მ გორში კრიპტოვალუტის საპროცესინგო ცენტრი აღჭურვა. ცენტრმა საპროცესინგო მომსახურება 2014 წლის ივლისში დაიწყო. პროექტში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული. მათ შორის უნდა აღნიშნოს, რომ პროექტი არის კომერციულად მიმზიდველი, ინოვაციურ

⁴⁴ რა არის ბიტკოინი? Forbes.ge | ფინანსები | ივნ, 09, 2016

ტექნოლოგიებსა და know-how-ზე დაფუძნებული. პროექტში ჯამში \$20 მლნ ამერიკული დოლარის ინვესტირების შედეგად საქართველოში განთავსდა კრიპტოვალუტა Bitcoin-ის იმდროისთვის მსოფლიოში უმსხვილესი საპროცესინგო ცენტრი. საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მიერ განხორციელებული ეს კონკრეტული ინვესტიცია საქართველოს ეხმარება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო პოზიციის გაუმჯობესებაში და უფრო მიმზიდველს ხდის მას ამ სფეროში ინვესტირებით დაინტერესებულ უცხოელი ინვესტორთათვის.⁴⁵

თითქმის ყველა საერთაშორისო ექსპერტი თახმდება იმ მოსაზრებაზე, რომ კრიპტოვალუტის მყიდველმა უნდა გაითვალისწინოს ის რისკები, რომელთანაც მას მოუხდება შეხება. ბიტკოინების უკან პრაქტიკულად არაფერი არ დგას, მათი აზრით ელექტრონული ფული საბაზრო ექსტრემიზმის უკიდურესობაა, როდესაც ვალუტა საერთოდ მოწყვეტილია რეალურ ეკონომიკას, საბანკო ლიკვიდობას. ის კიდევ უფრო დაშორებულია რეალურ წარმოებას და საწარმოო ფონდებს. თუ ჩვენ ავიღებთ რომელიმე ქვეყნის ეროვნულ ვალუტას აშს-ს \$, დიდი ბრიტანეთის ფუნტ სტერლინგს, თუნდაც ქართულ ლარს, მათ უკან დგას ამერიკის ეკონომიკა, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა, ქართული ეკონომიკა, თუ უფრო მეტად დავაკონკრეტებთ ამ ფულის უკან დგას სავალუტო რეზერვები, რომლებიც ამ ქვეყნებს გააჩნიათ, რაც არის გარანტია იმისა, რომ ამ ვალუტების სტაბილურობა იქნეს უზრუნველყოფილი. ბიტკოინის უკან კი დგას მხოლოდ ნდობა, რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება ჩართული ამ პროცესებში მით უფრო მყარი იქნება ბიტკოინი. დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებ თუ გადავხედავთ ბუნებრივად გაგვიჩნდება კითხვა-არის თუ არა ეს ნდობა მყიფე? ნებიამიერმა არარეალურმა მაგრამ სწრაფად გავრცელებულმა ინფორმაციამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოუტანოს ამ პროცესებს. ამიტომ ადამიანები რომლებიც ახდენენ ამ აქტივში ინვესტირებას, ისინი ეწვევიან ძალიან სარისკო ბიზნესს.

⁴⁵ თანაინვესტირების ფონდი IT ინდუსტრიის საერთაშორისო მოთამაშეებთან თანამშრომლობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს
18:00 15.12.2014

საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მთავარი ამ პროცესებში არის ბლოკჩეინის ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია თავდაყირა დააყენოს მთელი ფინანსური პროცესები. ის რომ ეს ტექნოლოგიები ფაქტიურად არ საჭიროებენ შუამავალ რგოლებს, ეს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს საბანკო სექტორს. მეცნიერები შიშით სვამენ შეკითხვას-რა შეიძლება მოყვეს ამ ტექნოლოგიების განვითარებას 15-20 წლის შემდეგ?..

კრიპტოვალუტების ქართულ ბაზარზე ქართული ელექტრონული ფული გამოჩნდა სახელწოდებით „ოქროს საწმისი“. „ბიზნესმოდელი მარტივ პრინციპზეა აგებული: ვაშენებთ სასერვეროებს, რომლებიც სხვადასხვა კრიპტოვალუტას გამოიმუშავენს, ესენია: ეთერიუმი, ბიტკოინი, დაში, მონერო, ზიკეში. ხოლო იმისთვის, რომ დატაცენტრის ასაშენებელი სახსრები მოვიზიდოთ, გამოვუმვით ჩვენი საკუთარი კრიპტოვალუტა “ოქროს საწმისი”. Golden Fleece Token-ი განთავსებულია საერთაშორისო ფირმა Waves-ის პლატფორმაზე. Waves-ი იმის გამოავირჩიეთ, რომ მომხმარებლისთვის შედარებით მარტივია, მას აქვს ინტეგრირებული გაცვლითი პლატფორმა, სადაც შეგიძლიათ, დოლარი ან ევრო ჩარიცხოთ და ჩვენი კრიპტოვალუტა ან ბიტკოინი იყიდოთ. Waves პლატფორმას აქვს ვებსაიტი, www.waveswallet.io, ასევე აქვს მობილური აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს შეუძლია გადმოწეროს და ამით მარტივად ისარგებლოს. Waves-ზე ჯერჯერობით ხუთი ძირითადი ვალუტაა განთავსებული: დოლარი, ევრო, ბიტკოინი, ეთერიუმი და თვითონ Waves-ის ვალუტა. ამ ხუთი ვალუტის ჩარიცხვის შემდეგ ჩვენ მიერ გამოშვებული ქართული კრიპტოვალუტის ყიდვას შეძლებთ. რადგან ინვესტორების დიდი ნაწილი “ეთერიუმის” პლატფორმას იყენებს, გადავწყვიტეთ, 50 მილიონი Golden Fleece Waves-ის პლატფორმაზე გავყიდოთ, ხოლო 20 მილიონი - “ეთერიუმის” პლატფორმაზე. დანარჩენ 30 მილიონს შევინახავთ და მომდევნო წელს გამოვიტანთ გასაყიდად.“⁴⁶

46 Golden Fleece Token - პირველი ქართული კრიპტოვალუტა! სალომე ჭიპაშვილი <https://forbes.ge/news/2683/pirveli-qarTuli-kriptoaluta> გადამოწმებულია 19.05.2019

დასკვნა

მიმდინარე კრიზისის სიმწვავე და ხასიათი, ბუნებრივია, ადეკვატური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს როგორც ეროვნული სახელმწიფოების მთავრობების, ისე, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან. საერთაშორისო გამოცდილებით ანტიკრიზისული პროექტების გატარებაში იგულისხმება:

- ფინანსური სექტორის ლიკვიდურობის ამაღლება მისთვის სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების გაწევის გზით;
- ფინანსური ინსტიტუტების ე.წ. „რბილი პრივატიზება“, ანუ, არალიკვიდური საბანკო აქტივების მთავრობის მიერ გამოსყიდვა;
- ბანკებსა და ფინანსურ ფონდებში დეპოზიტების დაზღვევის საიმედოობის გაზრდა;
- სადისკონტო განაკვეთის შემცირება; შიდა მოთხოვნის სტიმულირება; გადასახადების შემცირება და ა.შ.

ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის არსებული ღონის და სტადიის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლებია:

- მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპი;
- ინფლაციისა და უმუშევრობის დონე;
- საფინანსო - საბანკო სისტემის ნდობა;
- ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა და მისგან მიღებული მოგების პროცენტი;
- მოსახლეობის სოციალური დაცულობა;
- განათლების დონე;
- სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების ხარისხი და სხვა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისების ფონზე შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ იმ აუცილებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება ეროვნული ეკონომიკის გადასარჩენად:


- საჭიროა გარკვეული სექტორების მუდმივი დემონოპოლიზაცია, რათა ფასები დარეგულირდეს და არ ვიყოთ “შეთქმულების” მსხვერპლი;
- დღესდღეობით ქვეყანა თითქმის მთლიანად დამოკიდებულია იმპორტზე საუბარიასასურსათო პროდუქციაზე, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია მთელ რიგ სტრუქტურულ რეფორმებზე: კრედიტების გაცემა, თესლის და წარმოების საშუალებების შესაძენად. წარმოების, მიწოდებისა და გასაღების ორგანიზაციების შექმნა, შენახვის პირობების გაუმჯობესება, პროდუქციის რეალიზაციისათვის (მარკეტინგი) ხელშეწყობა;
- მაგალითად ისეთი ქვეყნები, როგორც არის ბელგია, ნორვეგია, ავსტრია, კანადა, აშშ ხშირ შემთხვევაში ბიუჯეტიდან პირდაპირ აფინანსებენ სოფლის მეურნეობას თან საკმაოდ დიდი დოზით. ევროკავშირმა მარტო 2008 წელს 60 მილიარდი დოლარი გამოყო სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად;
- ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური კრიზისის პოზიტიური ბუნებაც, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების აუცილებელ და სრულ დემოკრატიზაციას, პროგრესისაკენ სვლას, ეკონომიკის მართვის ახალი ტექნოლოგიების ძიებას, ეკონომიკური სუბიექტებისათვის შესაფერისი ადგილის მიჩენას, რასაც თავისუფალი ფასწარმოქმნა და თავისუფალი კონკურენცია განსაზღვრავს. ხელს შეუწყობს ზოგიერთ დარგში არსებულ მონოპოლიზირებული მდგომარეობის დემონოპოლიზაციას;
- საქართველოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ანტიკრიზისული პროგრამა, როგორც პრევენცია, მოსალოდნელი კრიზისებისა და, აქედან გამომდინარე, მისი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. ანტიკრიზისულ პროგრამაში მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ეროვნული წარმოების განვითარებას და იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებას ადგილობრივი საქონლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მთავარი საფრთხე: უმუშევრობა, ინფლაცია და ფინანსური კრიზისი: ეს უკვე რისკი კი არა, სამწუხარო რეალობაა. ნათია ლომიძე. რეზონანსი. თბილისი, 2018. 22 თებერვალი. N 38. გვ. 8.
2. საქართველოში პირველი კრიპტოვალუტა შეიქმნა: ჩნდება საბანკო მომსახურებისა თუ ფინანსირების ალტერნატივები, რაც ჯანსაღი კონკურენციის სტიმულირებას ახდენს. გიორგი შერვაშიძე ; ესაუბრა ნათია წიკლაური. ბანკები და ფინანსები. თბილისი, 2018. 14 მაისი. N 529. გვ. 10.
3. კრიპტოვალუტა -ზღვარი ეკონომიკურ განვითარებასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) იდეალურ შესაძლებლობასთან. გიორგი ქირია, დავით ქირია. ახალგაზრდა ადვოკატები: სამეცნიერო ჟურნალი. ა(ა)იპ "ახალგაზრდა ადვოკატები". თბილისი, 2018. იანვარი. N 9. გვ. 17-27.
4. კრიპტოვალუტა და ახალი ციფრული ეკონომიკა. ნინო სამჭკუაშვილი. ეკონომიკა : ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი, 2018. N 12. გვ. 43-50.
5. კრიპტოვალუტა, ბლოკჩეინი და საქართველოში არსებული მდგომარეობა, გამოწვევები. უჩა ჩიტაძე, თორნიკე თევდორაძე. ეკონომიკა : ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. თბილისი, 2018. N 12. გვ. 65-71.
6. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მეცნიერება. მიხეილ თოქმაზიშვილი. გლობალიზაცია და ბიზნესი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 5. გვ. 17-23.
7. მონოგრაფია აქტუალურ თემაზე ფინანსური კრიზისი და ქართული ლარის თავგადასავალი. ბადრი გეჩბაია, ვლადიმერ ლლონტი. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა: საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი


- ჟურნალი / ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი. ბათუმი, 2016. N 3. გვ. 151–156. ISSN 2449–2418.
8. კრიპტოვალუტა და მისი მომავალი მსოფლიო ეკონომიკაში. გოჩა გვასალია. აუდიტი. აღრიცხვა. ფინანსები : ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისათვის. თბილისი, 2014. 1512-083X N3(171), გვ.50-54
 9. ი. ლაითაძე. „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და მისი სავარაუდო მიზეზები“. ჟურნალი- Forbes Georgia. - თბ, 2013. მაისი. N18. გვ.28-29.
 10. თ. იობაშვილი. „რომელ ქვეყნებს შეეხო ახალი ფინანსური კრიზისი : რა გავლენას იქონიებს ფინანსური კრიზისი საქართველოზე“. ჟურნალი- აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ, 2011. N9(141). - გვ.32-34.
 11. ნ.თაგოშვილი. „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო.“ ჟურნალი- ეკონომისტი. თბ. 2011. #4. გვ. 71-75.
 12. ვ. სამსონიძე "ფინანსური ქსენოფობია" ევროპაში“ ჟურნალი- აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. თბ, 2011. N1(133). - გვ.27-29.
 13. ლ.პაპავა. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე (თეორიული ასპექტები).“ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბ. 2010 ტ 8. გვ. 33-58.
 14. ლ. არევაძე, თ. წიკლაური „მსოფლიო ფინანსური კრიზისი, მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და კრიზისის დაძლევის პერსპექტივები“ ჟურნალი- ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ, 2010. ტ I. გვ.7-11.
 15. გ. ბერიტაშვილი „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“. ჟურნალი- ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.თბ, 2010. ტ I. -გვ.15-18.
 16. რ.ასათიანი. „გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში.“ ჟურნალი- სოციალური ეკონომიკა. 2009. #6. გვ. 10-15.

დანართები



ფულადი გზავნილები საქართველოში ქვეყნების მიხედვით, (მლნ) აშშ დოლარებში [2018]

წყაროები: საქართველოს ეროვნული ბანკი, ავტორის გამოთვლები



ფულადი გზავნილების მოცულობა ქვეყნების მიხედვით

